

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

მარინა მჟავანაძე

**„ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული
ანალიზი**

სპეციალობა – ლიტერატურათმცოდნეობა

ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

პროფესორი რამაზ ხალვაში,

პროფესორი მანანა თანდაშვილი

ბათუმი – 2023

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

რამაზ ხალვაში

ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

მანანა თანდაშვილი

ფრანკფურტის გოეთეს
უნივერსიტეტის პროფესორი.

შემფასებლები:

ნანა ცეცხლაძე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

ნანა ქაჯაია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.

მირიან ებანოძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება **2023 წლის 21 თებერვალს, 13:00 საათზე**, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32, პირველი კორპუსი.

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკაში, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის ანოტაციისა - ამავე უნივერსიტეტის ვებგვერდზე (www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი,

ფილოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

მ. კიკვაძე

შესავალი

შოთა რუსთაველის გენიალური პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ქართული ეროვნული ლიტერატურის თვალსაჩინო ნიმუშია. წინამდებარე ნაშრომის აქტუალობას პოემისადმი საყოველთაო ინტერესი, თარგმანების სიუხვე და რუსული თარგმანების არაერთგვაროვნება განაპირობებს. გამომდინარე იქიდან, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციას განსაკუთრებით შეუწყო ხელი პოემის სხვადასხვა ენაზე შესრულებულმა თარგმანებმა, მნიშვნელოვან ამოცანად მიგვაჩნია პოემის თარგმანების კრიტიკული ანალიზი კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით.

ჩვენი მიზანია სწორედ რუსულენოვანი სრული პოეტური თარგმანების, კერძოდ, კონსტანტინე ბალმონტისეული, შალვა ნუცუბიძისეული და არჩილ ხალვაშისეული თარგმანების, კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე წარმოვადგინოთ ურთიერთმიმართებები და მსგავსება-განსხვავებები როგორც თარგმანსა და ორიგინალს, ასევე, საკუთრივ თარგმანებს შორის. ვრცელ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით შევეცდებით წარმოვადგინოთ, ერთი მხრივ, სამეცნიერო ლიტერატურაში თარგმანებთან დაკავშირებით გამოთქმული შეფასებების განხილვა და პოემის თარგმანების შესწავლა კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, ხოლო, მეორე მხრივ, თითოეული მთარგმნელის მთარგმნელობითი პრინციპების, სტრატეგიების ანალიზი და ეკვივალენტურობის ხარისხის შეფასება.

მიზნის მისაღწევად დასახულია შემდეგი ამოცანები: საკითხთან დაკავშირებული ვრცელი რუსთველოლოგიური ლიტერატურის შესწავლა, ემპირიული მასალის ელექტრონულად დამუშავება – დაპარალელება, თეგირება, ალინირება, ბოლო ეტაპზე კი წინასწარ შემუშავებული კლასიფიკატორების საშუალებით თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზი.

კვლევის საგანია „ვეფხისტყაოსანი“ და რუსულ ენაზე შესრულებული სამი სრული პოეტური თარგმანი. ემპირიულ მასალად ავიღეთ პოემის აკადემიური რედაქცია, ა. შანიძის, კ. კეკელიძისა და ა. ბარამიძის რედაქტორობით გამოცემული 1957 წელს, კ. ბალმონტისეული თარგმანის 1988 წლის გამოცემა, შ. ნუცუბიძისეული თარგმანის 1979 წლის გამოცემა და ხალვაშისეული თარგმანის ბილინგვური გამოცემა (2015 წ).

ვრცელი ემპირიული მასალის კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზის განსახორციელებლად კვლევის პროცესში გამოვიყენეთ როგორც კლასიკური, ასევე თანამედროვე **მეთოდები**. კლასიკური მეთოდებიდან კვლევაში ძირითადად გამოყენებულია ტექსტის კრიტიკული ანალიზისა და შედარება-შეპირისპირების მეთოდი, ასევე რაოდენობრივი და თვისობრივი ანალიზის მეთოდები, თანამედროვე მეთოდებს შორის აქტიურად გამოვიყენეთ კორპუსლინგვისტური ანალიზის მეთოდი.

აღნიშნული მეთოდების გამოყენებით კვლევა განხორციელდა სისტემურად. მონაცემთა ავტომატურ რეჟიმში დამუშავებამ საგრძნობლად შეამცირა სუბიექტურობისა და შეცდომების შემთხვევები ნაშრომში. **კვლევის შედეგებში** ფორმულირებული დასკვნები გაკეთდა ვრცელი ემპირიული მასალის დამუშავების საფუძველზე, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა ნაშრომის ემპირიულობის ხარისხი.

ნაშრომის **სიახლეს** წარმოადგენს კორპუსლინგვისტური ანალიზის მეთოდი გამოყენებით „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების კვლევა. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ამოცანად მიგვაჩნია ა. ხალვაშისეული თარგმანის კრიტიკული ანალიზი, რამდენადაც აქამდე აღნიშნული თარგმანის შესახებ ერთადერთი გამოკვლევაა გამოქვეყნებული, რომელიც რ. ხალვაშის მიერ განხორციელებულ აკადემიურ გამოცემაში შევიდა.

სადისერტაციო ნაშრომის **მეცნიერული ღირებულება** გახლავთ ის, რომ შეიქმნა ახალი თეორიული ნაშრომი პოემის რუსულენოვანი თარგმანებით დაინტერესებული მკითხველისთვის. ჩვენი აზრით, ელექტრონულად დამუშავებული ვრცელი ემპირიული მასალის კორპუსლინგვისტური ანალიზი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ციფრული ქართველოლოგიის, კერძოდ, რუსთველოლოგიის განვითარებასა და პოემის ინტერნაციონალიზაციას.

ნაშრომი შედგება შესავლის, პარაგრაფებად დაყოფილი რვა თავისა და დასკვნისაგან, ერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია და დანართი.

I თავი. რუსთველოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდები

რუსთველოლოგიური კვლევის თანამედროვე ეტაპია ციფრული რუსთველოლოგიის ჩამოყალიბება, რაც დაკავშირებულია კვლევაში კომპიუტერული ტექნოლოგიების ჩართვასთან. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანების ავტომატურ რეჟიმში

კვლევა და კორპუსლინგვისტური ანალიზი რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების გაუმჯობესებასთან ერთად ინტერნაციონალური და ინტერდისციპლინური კვლევის ფართო შესაძლებლობას ქმნის. ჩვენს შემთხვევაში კორპუსლინგვისტური კვლევა მოიცავს ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, ლიტერატურათმცოდნეობისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების სინთეზურ გამოყენებას, რაც მნიშვნელოვნად აფართოებს მეცნიერული ანალიზისა და კვლევის შესაძლებლობებს.

II თავი. ცნობები პოემის ავტორისა და ტექსტის შესახებ

2.1. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ვინაობისათვის

„ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკული შესწავლა ვახტანგ VI-ის „თარგმანით“ იწყება და დღემდე აქტიურად მიმდინარეობს პოემის როგორც კვლევა-ძიების, ასევე პოპულარიზაციის პროცესი. მიუხედავად ხანგრძლივი კვლევებისა, ზუსტი და უტყუარი ცნობები პოემის ავტორის ვინაობის შესახებ დღემდე არ არსებობს. პირველადი და ყველაზე ავთენტური წყაროა თავად ტექსტი, კერძოდ, პროლოგი, რომელშიც ავტორი ორჯერ არის მოხსენიებული. რუსთაველი ასევე ნახსენებია ეპილოგშიც, რომელიც არ ეკუთვნის ავტორს, თუმცა ფაქტია, რომ ინტერპოლატორებმა იმავე „რუსთველს“ მოიხსენიებენ პოემის ავტორად.

მიჩნეულია, რომ შოთა რუსთაველი მოღვაწეობდა XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე და თამარისა და დავითის ზეობისას ეკავა მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა. ზედწოდება **რუსთველი** (ანტონ კათალიკოსის მიერ პარალელურ ფორმად დამკვიდრებული **რუსთაველი**) ქალაქ რუსთავის მფლობელობას (სხვა ვერსიით, რუსთავის ეპარქიის მღვდელმთავრობას) აღნიშნავს. მესხიზმებისა და ჰერეთიზმების მოხმობით მეცნიერები უშედეგოდ ცდილობენ რუსთაველის კონკრეტული წარმომავლობის დადგენას, რამდენადაც რუსთაველი საერთო ქართული სალიტერატურო ენით წერს და არა რომელიმე დიალექტით.

პოემის ავტორის სახელი **შოთა** ნახსენებია იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტრის წარწერასა და ალაპში (ლაიფციგის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი (V-1095) - „ალაპები“). ლიტერატურაში ამ სახელს პირველად თეიმურაზ I ახსენებს, ნიკიფორე ჩოლოყაშვილის (ირბახის) მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. ჯვრის მონასტრის შეკეთებისა და მოხატვისთვის რუსთაველის ფრესკა წარწერებით გამოუსახავთ სვეტზეც. რუსთაველის უძველესი პორტრეტები

გამოსახულია, აგრეთვე, ქვაბისხევის ფრესკაზე, „ვეფხისტყაოსნის“ ე.წ. ზაზასეულ ხელნაწერსა და მამუკა თავაქალაშვილისეულ ნუსხაში.

2.2. პოემა „ვეფხისტყაოსანი“

„ვეფხისტყაოსანში“ გაგრძელებათა ციკლების ჩართვა XIII-XIV საუკუნეებიდან იწყება და საუკუნეების განმავლობაში გრძელდება. პოემის ყველაზე ადრეული ინტერპოლაციები სარგის თმოგველსა და ვინმე მესხ მელექსეს ეკუთვნით. შემდგომი დროის ინტერპოლატორები იყვნენ ნანუჩა (იგივე მანუჩარ ციციშვილი), თბილისის მიტროპოლიტი იოსებ სააკაძე და გასპარ ბაღდასარაშვილი – XVII საუკუნის მოღვაწეები. პოემის ბოლო ინტერპოლატორი გიორგი თუმანიშვილი კი XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე მოღვაწეობდა. „ვეფხისტყაოსნის“ ვრცელ რედაქციაში დამატებული სტროფების რიცხვი 650-ს აღემატება, ხოლო ე. წ. „მოკლე რედაქცია“ – შედგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ზაზასეული Q-1082 ხელნაწერის (გადამწერ-ინტერპოლატორი იოსებ სააკაძე) საფუძველზე, ვახტანგ VI-მ გამოქვეყნა და თარიღდება 1712 წლით. ვახტანგისეული რედაქცია პირველი ბეჭდური გამოცემაა და შეიცავს 1587 სტროფს.

III თავი. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანები

„ვეფხისტყაოსნის“ თარგმნის მცდელობები მეცხრამეტე საუკუნიდან იღებს სათავეს და დღემდე გრძელდება. დღეისათვის „ვეფხისტყაოსანი“ ორმოცდაათზე მეტ ენაზეა თარგმნილი. მათი ნაწილი გალექსილია, ნაწილი კი პროზაულია. თარგმანთა შორის გვხვდება არასრული თარგმანები ნაწყვეტების სახითაც. პირველი რუსული თარგმანი (პირველი სტროფი) შესრულდა 1802 წელს და ეკუთვნის ევგენი ბოლხოვიტინოვს. 1845 წელს იპოლიტე ბარტდინსკიმ თეთრი ლექსის ფორმით თარგმნა რუსთაველის პოემის 142 სტროფი. 1846 წ. პოემის ერთი თავის თარგმანი გამოაქვეყნა ივ. ევლახოვმა (ევლახიშვილმა), 1885 წელს ევგ. სტალინსკიმ ცალკე წიგნად გამოსცა პროლოგის თარგმანი, რომელიც პროზაულად იყო შესრულებული. გ. ასატურმა პირველად თარგმნა პოეტურად ხალხური თქმულების ერთ-ერთი ვარიანტი – „რუსთაველის სიყვარული“. 1896 წ. თბილისში ა. ნარიშკინმა გამოაქვეყნა პოემის პროზაული თარგმანი. პოემის პირველი 12 სტროფი თარგმნა ვ. ტერიანმა. „ვეფხისტყაოსანი“ რუსულად თარგმნეს ს. შარტმა, ვ. დერჟავინმა, პ. ანტოკოლსკიმ, ს. სკლიჩკოვმა და სხვ. სრული რუსული თარგმანების რაოდენობა კი ჯერჯერობით ექვსს

აღწევს (ბალმონტის, პეტრენკოს, ცაგარელის, ნუცუბიძის, ზაბოლოცკის და ხალვაშის თარგმანები). მათგან განვიხილავთ კონსტანტინე ბალმონტის, შალვა ნუცუბიძისა და არჩილ ხალვაშის თარგმანებს.

3.1. კონსტანტინე ბალმონტის თარგმანი

„ვეფხისტყაოსნის“ პირველი სრული პოეტური თარგმანი რუსულ ენაზე შექმნა კონსტანტინე ბალმონტმა. თარგმანი ეყრდნობა ვახტანგისეულ გამოცემას. ბალმონტისეული თარგმანი თავდაპირველად ნაწილობრივ გამოიცა მოსკოვში 1917 წელს, სრული სახით კი დაიბეჭდა 1933 წელს დავით ხელაძის მიერ დაარსებულ სტამბაში, პარიზში, 1935 და 1937 წლებში გამოიცა თბილისში. მთლიანობაში ბალმონტის თარგმანი გამოიცა 11-ჯერ. ბალმონტი იყენებს თავისუფალი თარგმნის პრინციპს.

3.2. შალვა ნუცუბიძის თარგმანი

1937-1939 წლებში შეიქმნა კიდევ ერთი სრული პოეტური თარგმანი, შესრულებული შალვა ნუცუბიძის მიერ. თარგმანის პირველი ვარიანტი სტალინს დაუწუნებია და მისი შენიშვნების გათვალისწინებით 1941 წელს გამოუციათ, რომელშიც თვით სტალინის მიერ თარგმნილი ერთადერთი (1416-ე) სტროფიც იყო შეტანილი. მეორედ გამოიცა 1943 წელს ბერლინში. მთლიანობაში ნუცუბიძისეული თარგმანი გამოიცა 14-ჯერ. თარგმანში გამოყენებულია ქალური და ვაჟური რითმა და მკვლევართა აზრით, ეკვივალენტურობის მაღალი ხარისხით ხასიათდება.

3.3. არჩილ ხალვაშისეული თარგმანი

მეოცე საუკუნის მიწურულსა და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში იქმნება კიდევ ერთი სრული პოეტური რუსულენოვანი თარგმანი, შესრულებული არჩილ ხალვაშის მიერ. თარგმანი გამოიცა 2015 წელს რამაზ ხალვაშის რედაქციით. გამოცემა ორენოვანია და ახლავს რედაქტორის ვრცელი წინასიტყვაობა. ა. ხალვაშმა პირველად თარგმნა „ვეფხისტყაოსნის“ სრული რედაქცია (2230 სტროფი) რუსთველური მაღალი და დაბალი შაირის გამოყენებით.

3.4. „ვეფხისტყაოსნის“ სხვადასხვა თარგმანები

„ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანები რუსულ ენაზე შექმნეს გიორგი ცაგარელმა, პანტელეიმონ პეტრენკომ, ნიკოლოზ ზაბოლოცკიმ. რუსულის გარდა, „ვეფხისტყაოსნის“ სრული და არასრული თარგმანები შედარებით გვიან

შეიქმნა სხვა ენებზეც. მარი ბროსეს ეკუთვნის პოემის დასაწყისისა და პირველი თავის სტროფების პირველი პროზაული თარგმანი და ასევე მოკლე შინაარსი დანარჩენი სტროფებისა. იონა მეუნარგიამ ორჯერ გამოსცა პოემის შინაარსის რუსულენოვანი თარგმანი 1888-90 წლებში. მასვე ეკუთვნის პირველი სრული პოეტური ფრანგულენოვანი თარგმანი, რომელიც დაკარგულად ითვლება. XIX საუკუნის 40-იან წლებში პოემის პროზაული თარგმანი შექმნა კაზიმირ ლაფჩინსკიმ პოლონურ ენაზე, გამოიცა 1863 წელს ვარშავაში. 1889 წელს დაიბეჭდა არტურ ლაისტის მიერ შესრულებული სრული პოეტური გერმანულენოვანი თარგმანი. 1912 წელს გამოიცა მარჯორი უორდროპის თარგმანი. 1917 წელს გამოვიდა ბელა ვიკარის უნგრული თარგმანი. 1938 წელს პარიზში დაიბეჭდა ფრანგულენოვანი პროზაული თარგმანი მარსელ-პაონისა და გიორგი გვაზავას მიერ შესრულებული. 1945 წელს გამოვიდა იტალიური პროზაული თარგმანი, 1955 წელს – ჰუგო ჰუპერტის გერმანული პოეტური თარგმანი. 1974 წელს ემანუელ მეტაფიდიშმა პირველად თარგმნა პოემა ბერძნულად. ბერძნული თარგმანი 2016 წელს გამოსცა მთარგმნელის შვილიშვილმა, გრიგორის კირიაკოსმა.

რაც შეეხება აღმოსავლურენოვან თარგმანებს, 1930-იანი წლებიდან იწყება ჩინური თარგმანით, რომელიც ეკუთვნის ემი სიას (სიაო სანი). 1943 წელს გამოქვეყნდა მწერალ ლი ცი-ეს მიერ ინგლისური თარგმანიდან გაკეთებული ჩინური პროზაული თარგმანი. 1955 წელს იპეი ფუკურომ გამოსცა პოემის იაპონური პროზაული თარგმანი, ხოლო 1972 წელს დაიბეჭდა მისივე პოეტური თარგმანი. „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თარგმანები ებრაულ ენაზე 1937 წელს გამოქვეყნდა. 1969 წელს გამოიცა ბორის გაპონოვის თარგმანი. 1965 წელს გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი მონლოლურ ენაზე. არაბულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ თარგმნა სირიელმა მწერალმა ნიზარ ხალილმა. 1998 წელს ჯემშიდ გიუნაშვილის მხარდაჭერით გამოიცა ფარშიდ დელშადის სპარსული თარგმანი.

IV თავი. შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობრივი წყაროები

რუსთაველის მსოფლმხედველობრივი მრწამსის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ოთხმა ძირითადმა წყარომ, ესენია – XII საუკუნის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური სინამდვილე, ქართული ეროვნული ტრადიციები, ქრისტიანული მორალი და ანტიკური ფილოსოფია.

4.1. რუსთაველის მსოფლმხედველობის ფილოსოფიური წყაროები

პოემა ძირითადად ეყრდნობა ქართულ კულტურულ ტრადიციასა და ქრისტიანულ მოძღვრებას, ამასთანავე, იყენებს აღმოსავლური და დასავლური კულტურისათვის დამახასიათებელ რელიგიურ-ფილოსოფიურ შეხედულებებსა თუ თეორიებს. რელიგიურ-ფილოსოფიურ წყაროთაგან რუსთაველი ძირითადად იყენებს ანტიკურ ფილოსოფიას (პლატონი, არისტოტელე, ნეოპლატონიზმი), ბიბლიურ მოძღვრებას (წმ. წერილის პერიფრაზები) და ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას (არეოპაგეტიკა, წმ. მამათა სწავლება).

4.1.1. ნეოპლატონიზმი „ვეფხისტყაოსანში“

რუსთაველის მსოფლმხედველობაში გამოვლენილი ნეოპლატონიზმი ფსევდო დიონისე არეოპაგელის სახელს უკავშირდება. სიკეთისა და ბოროტების არეოპაგელისეულ ფილოსოფიურ მოტივებზეა (კატაფატიკა-აპოფატიკა) აგებული პოემის სიუჟეტური ღერძი. ამას მოწმობს არაერთი სტრიქონი თავად პოემაში:

„ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“ (3.113.4).

„თქვეს: "ბოროტსა უმყოფოო, კეთილნია შენთვის მზანი" (59.1509.4).

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (41.1361.4).

„უმსგავსო საქმე ყოველი, მოკლეა, მით ოხერია“ (44.1090.3).

„ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ (57.1435.4)...

რუსთაველსა და არეოპაგელს შორის ურთიერთმიმართების ყველაზე ნათელი მაგალითია შემდეგი სტროფი:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს,

ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,

ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,

თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“ (59.1492).

რუსთაველი პოემაში სახელდებით იხსენიებს კიდევ ერთ ავტორიტეტს, პლატონს, რაც დასტურდება ერთადერთ კონტექსტში:

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, პლატონისგან სწავლა-თქმულსა:

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (32.789.3.4).

გარდა მოცემული მონაკვეთისა, პლატონისეული აზროვნების ნიშნები გამოვლენილია პოემის სხვა მონაკვეთებშიც. სამყაროს მთლიანობის იდეა, რომელიც

პლატონის ერთ-ერთი ძირითადი მოძღვრებათაგანია, გატარებულია რუსთაველის პოემაშიც, კერძოდ, შემდეგ სტრიქონებში:

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი“ (1305.1).

„ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად, იგი გაჰხდის წამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“ (792.3.4).

პლატონის გავლენის კვალს ხედავენ მეცნიერები სტრიქონში:

„მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“ (51.1323.4).

პოემაში გამოვლენილი მამაკაცის თანასწორი ქალი მმართველი პლატონის „იდეალური სახელმწიფოს“ ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია. ასევე, პოემის პროლოგში წარმოდგენილი მუშის, მეომრისა და მიჯნურის დახასიათება დაკავშირებულია პლატონის თეორიასთან სახელმწიფოს ფენებად დაყოფის შესახებ („ტიმეოსი“, „ფედროსი“).

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, რუსთაველისეული განგების საკითხი, რომელიც ასევე პლატონთან არის დაკავშირებული. რუსთაველი იზიარებს პლატონის მსჯელობას ღმერთის განმგებლობასთან დაკავშირებით, თუმცა ამატებს იმასაც, რომ ადამიანი საკუთარი ძალებით უნდა უწყობდეს ხელს ბედისწერას და მხოლოდ ამგვარი ერთობლივი ბრძოლით მიიღწევა გამარჯვება, რასაც რუსთაველი ხატოვნად და ლაკონიურად წარმოგვიდგენს ფრაზაში – „ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ (36.903.4.).

4.1.2. არისტოტელიზმი „ვეფხისტყაოსანში“

მართალია, რუსთაველი პოემაში არ ახსენებს არისტოტელეს, მაგრამ უდავოა, რომ მწერალი საფუძვლიანად იცნობს და აქტიურად იყენებს მის ფილოსოფიას და ეთიკურ შეხედულებებს.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა დამეგობრების პრინციპები – მსგავსება და თანასწორობა, მეგობრობის გამოვლენის ფორმები – ურთიერთპატივისცემა, ერთად ყოფნის სურვილი, ურთიერთდახმარება – დაკავშირებულია არისტოტელეს მეგობრობის თეორიასთან, რომელიც „ნიკომაქეს ეთიკაში“ გვხვდება.

როგორც აღნიშნულია, რუსთაველის განსაკუთრებული კავშირი არისტოტელესთან ეთიკურ სისტემაში ერთ-ერთი ფუნდამენტური მოძღვრების, „საუკეთესო საშუალის“, რუსთაველისეულ ინტერპრეტაციებში იჩენს თავს.

პერსონაჟები ხშირად სწორედ ამ მოძღვრების მიხედვით მოქმედებენ, მასზე დაყრდნობით აყალიბებენ მოქმედების პრინციპებს.

ე. ხინთიბიძის კვლევების მიხედვით, რუსთაველი მიჯნურის დახასიათებისას, ასევე, ეყრდნობა არისტოტელეს ეთიკას, თუმცა ზედმიწევნით არ მიჰყვება მას. პოემის პროლოგში მიჯნურის ათ ზნეობრივ და ფიზიკურ მახასიათებელს შორის შვიდი (სიბრძნე, სიუხვე, სიმდიდრე, გონება, დათმობა, „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“, მოცალეობა) არისტოტელეს უკავშირდება.

არისტოტელეს ფილოსოფიას უკავშირებენ რუსთაველისეულ გამოთქმას „მართალი სამართალი“, რაც გულისხმობს არა კანონით გათვალისწინებულ ან რელიგიურ სამართალს, არამედ სიტუაციურ, ბუნებით სამართალს.

რუსთაველი კარგად იცნობს არისტოტელეს მოძღვრებას სულის შესახებ, რაც ვლინდება ფრაზაში „სახე ყოვლისა ტანისა“, თუმცა ბ. ბრეგვაძის დაკვირვებით, ამ გამოთქმაში რეალიზებული იდეა პლატონისგან მომდინარეობს.

„ვეფხისტყაოსანში“ არისტოტელეს მეტაფიზიკური აზროვნების გამოვლენის შემთხვევაა მოძღვრება ბუნების საგანთა ოთხი საწყისი ელემენტის (წყალი, ჰაერი, ცეცხლი და მიწა) შესახებ. პოემაში სიკვდილი გააზრებულია, როგორც სხეულის დაშლა სწორედ ამ ოთხი ელემენტისაგან, მათგან სულის გათავისუფლება და ამადლება. ასეთივე პარალელი მოეპოვება პოემაში არისტოტელეს **არსებობის ოთხ მიზეზს** (მატერიალური, ფორმალური, მოქმედი, დასრულებადი მიზეზი ანუ მიზანი). მათგან პოემაში მოხსენიებულია **მატერიალური მიზეზი** („ნივთი“) და **დანიშნულებითი მიზეზი** („ვალი“). ასევე არისტოტელედან მომდინარედაა მიჩნეული ფრაზა „**კაცი ვარგი**“.

4.2. რუსთაველის მსოფლმხედველობის ქრისტიანული წყაროები

მიუხედავად იმისა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტი მაჰმადიანურ არეალში ვითარდება, პოემაში მკვეთრად შეინიშნება ქრისტიანული რელიგიის გავლენის კვალი. ზ. გამსახურდიას დაკვირვებით, ქრისტიანული ღვთისმეტყველების უმთავრესი დოგმატი – სამება მოიაზრება პოემის პირველივე სტროფში, სადაც „რომელმან“ – მამა ღმერთია, „ძალი“ – ძე ღმერთი, „სული“ – სულიწმინდა. ანალოგიური სურათია მომდევნო სტროფში, სადაც „ღმერთი“ მამა ღმერთია, „სატანის დამთრგუნველი“ – ძე ღმერთი და „მიჯნურთა სურვილი მომნიჭებელი“ – სული

წმიდა. სამება გამოიყოფა კიდევ ერთ სტროფში – „დამბადებელი“ არის მამა ღმერთი, „ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად“ – არის ძე ღმერთი, ხოლო „საზღვრის დამსაზღვრებელი“ – სულიწმინდა.

„ვეფხისტყაოსანში“ ბიბლიურ-ქრისტიანული ტრადიციიდან მომდინარეობს საღვთო სახელები: მზიანი ღამე, უჟამო ჟამი, ნათელი, უკვდავი, უცნაური, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი, უხილავი, ძალი, ყოფილი, მყოფი, სახიერი, ღმერთი ცხოველი, ტკბილად მხედი, მალლით მაღალი, უფალი უფლებათა, სავსება, ყოველთა მოწყალე, მფლობელი გულისთქმათა, შემოქმედი, არსთა მხედი. პოემაში ასევე ბიბლიურია კონცეპტები სამოთხე, ედემი, ალვა; ბისონი, ჯეონი, დილჯა, ევფრატი (სამოთხის მდინარეები); სატანა, ეშმა/ეშმაკი, „უშობელი“ და ა.შ.

პოემაში ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს ღვთაებრივი და ადამიანური ძალები. რუსთაველის გმირები იაზრებენ საღვთო განგების მნიშვნელობას, მათ იციან, რომ ყველაფერი ღვთისმიერია („რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“ (793.1), მაგრამ, ამავე დროს, პოემაში გაზიარებული „ბედის“ იდეა („ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ (903.4).

ლუკას სახარებას ემყარება ფრაზა „ამად რომე შეცოდება შვიდ გზის თქმულა შესანდობლად“ (246.4) („დაღაცათუ შვიდ გზის დღესა შინა შეგცოდოს და შვიდ გზის მოაქციოს და გრქვას შენ: შევინანე, მიუტევე მას (ლუკა 17,4).

V თავი. „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი წყაროების ტრანსფერი რუსულ თარგმანებში

5.1. „ვეფხისტყაოსანის“ ნეოპლატონური რეალიები რუსულ თარგმანებში

რუსთაველი პოემაში სახელდებით მხოლოდ დიონისე არეოპაგელსა და პლატონს ახსენებს. ბალმონტის, ნუცუბიდისა და ხალვაშის თარგმანებში ორივე მათგანი პირდაპირაა დასახელებული (Платон; გრაფიკული სახესხვაობითაა წარმოდგენილი დიონისე – ბალმ., ნუცუბ.: Дивнос, ხალვ.: Дионос). მთარგმნელები აღნიშნავენ, რომ დაფარული საქმე (ბალ.: сокровенье; ნუცუბ.: дело скрытого; ხალვ.: Сумрак тайны, сокравенной) დიონისემ გამოავლინა, გაამხილა, გახსნა (явил; открывает; раскрывает).

რუსთველოლოგები დიონისე არეოპაგელს მოიაზრებენ კიდევ ერთ სტრიქონში: „ამ საქმესა მემოწმების დიონოსი ბრძენი, ეზროს“ (6.177.1). ბალმონტის თარგმანში

მთქმელის დაკონკრეტება არ ხდება. მთარგმნელი ზოგადად ახსენებს წმინდა წერილს, რომელშიც დასტურდება სარწმუნო სიტყვები („Есть **свидетельство Писанья**, что достойно сострадания“ (4.171). შ. ნუცუბიძე მიიჩნევს, რომ ეზროსის ნაშრომში, რომელსაც „დიონისე“ ეწოდება, დამოწმებულია კონტექსტის შესაბამისი აზრი (**Мудрый Эзрос в «Дионосе»** сам свидетельствует мне (6.177), ხოლო ხალვაში პირდაპირ ბრძენ დიონისეს, ეზროსს, ასახელებს (**Дионисий мудрый, Эзрос** подтверждают мне напрямик (5.270).

„ვეფხისტყაოსანში“ გამოვლენილი არეოპაგიტული რეალიების თარგმნისას ბალმონტი მიმართავს ინტერპრეტაციასა და განვრცობას. მთარგმნელს რუსთველისეული ლაკონური სტრიქონები რამდენიმე სტრიქონში მხატვრული ინტერპრეტაციებითა და კონტექსტური თარგმანის სახით აქვს წარმოდგენილი. ნუცუბიძე რამდენიმე შემთხვევაში მხოლოდ პოზიციებს, თანმიმდევრობას უცვლის ინფორმაციულ სტრუქტურებს, შესატყვისობა კი მაქსიმალურად ეკვივალენტურია თარგმანსა და დედანს შორის. ხალვაშისეულ თარგმანებში შეინიშნება მინიმალური ცვლილებები, კერძოდ, განვრცობა და ინტერპრეტაცია. მთარგმნელი შეგონების გამომხატველ ფრაზებს უმატებს ტექსტებს („**Понять нужно**“, „**это верно разумею**“). ასევე დამატებულია ეპითეტები: („არსება მისი გრძელია!“ – „**жизнь его прочна и долга!**“, „მით ოხერია“ – **полно зла, вреда**“).

სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციით რეალიზდება თარგმანებში პლატონისეული იდეები. კონტექსტს, რომელშიც ნახსენებია **პლატონი**, ბალმონტი განავრცობს მხატვრულად და ამატებს მიმართვას (Царь – მეფეო), აკლებს სიტყვას „გკადრებ“, რაც იწვევს ავთანდილის სიტყვებში უშუალო, ფამილარული სტილის შეტანას, თავაზიანობის გადაფარვას. იმავე კონტექსტში პლატონის მოძღვრების თარგმნისას ბალმონტი ერთ სიბრტყეზე აყენებს **სულსა და სხეულს**, ხოლო **სიცრუეს** ორივე მათგანისთვის ერთნაირად საზიანოდ მიიჩნევს (Царь, **вспомни мысль Платона: Ложь двуличья — порчи лоно и для тела, и души**“). ნუცუბიძესთან დაცულია თანმიმდევრობა ტყუილით **სხეულის** შემდეგ **სულის** გახრწნისა, შეცვლილია მხოლოდ გამოხატვის ფორმები – დედანში **სიცრუე** და **ორპირობა** აბსტრაქტული არსებითი სახელებია, ხოლო თარგმანში – ადამიანის მსაზღვრელები („**Вслед за плотью тленен духом как двуличный, так и лжец**“). ხალვაშის თარგმანში ორი დამოუკიდებელი,

თანაბარი ფუნქციის კონცეპტი (სიცრუე და ორპირობა) მინიმალური ცვლილებით გადადის, პოზიციებს უცვლის მათ – ორპირობა დაქვემდებარებულია, თანმხლება სიცრუისა (Ложь с двуличьем). დედნისეული ვითარების ამგვარი მინიმალური ცვლილებით გადატანა შესაძლებლობას უტოვებს მკითხველს, დაინახოს მასში პლატონისეული მოძღვრება და მისი მიმართება რუსთაველის პოემასთან.

სხვადასხვაგვარად გადააქვთ მთარგმნელებს პლატონისეული მზის მიმართება ღმერთთან – ბალმონტი ღმერთს მზის ნაწილს (частица солнца) შეუსატყვისებს. ნუცუბიძისეულ თარგმანში შებრუნებულია მიმართებები – მზე მიიჩნევა ღმერთისგან განუყოფლად (нераздельное с тобою), ხოლო ხალვაშისეულ თარგმანში ღმერთი მზის ნაწილია, მაგრამ დამცირებულია მზის კონცეპტი (უშენოდ მზე არაფერია – Без тебя ведь солнце ничто). მიუხედავად სხვაობებისა, სამივე თარგმანში ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ ღმერთის გარეშე მზე ვერ იარსებებს (ბალმ.: Без тебя не будет солнца; ნუცუბ.: Без тебя не светит солнце; ხალვ.: Без тебя ведь солнце ничто).

თარგმანებში თანმიმდევრულადაა წარმოდგენილი ღმერთის, როგორც საზღვრის დამდებისა („Закрепляющий границы; Кто, найдя предел пределам; Бог же ставит всему между) და ყოვლისშემძლეს, ყოველივეს გამაერთიანებლის (бог в мгновение зеницы сто сведет до единицы, и один вдруг будет сто; Тот мгновенно претворяет сто в одно, одно же в сто; Он превратит один во сто, не теряя даже мига) იდეა. ხოლო ღმერთის უკვდავება მხოლოდ ნუცუბიძესთანაა თარგმნილი (обессмертил божество), ხალვაშთან ჩანაცვებულია მეტაფორით (езде ступит Его нога), ბალმონტთან კი მთლიანად გამოტოვებულია ფრაზა.

პლატონისგან მომდინარე ფრაზა „მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს“ სრული ეკვივალენტობით გადააქვს მხოლოდ ნუცუბიძეს, ხალვაში ამატებს შეფასებით ფრაზას – что не чушь, ხოლო ბალმონტი არღვევს რუსთაველის იდეას მემკვიდრეობითობის შესახებ, მსგავსის მიერ მსგავსის შობას ცვლის გავლენის კონცეპტით – С благородным — благородство, ახსენებს მსგავსთა არა წარმოშობას, არამედ დამსგავსებას თანაარსებობის პირობებში (Кто с кем вместе, примет сходство).

„ვეფხისტყაოსანში“ სიტყვა განგება სხვადასხვა ფორმით სულ 11 კონტექსტში დასტურდება. მის შესატყვისად ბალმონტი იყენებს ორ ფორმას, თანაც, მხოლოდ სამ კონტექსტში – Рок (1), провиденье (2), ერთ კონტექსტში კონცეპტს ნაწილად, ორ

შემთხვევაში განგების ნაცვლად დასტურდება ან მოიაზრება ღმერთი – **Бог**. დანარჩენ შემთხვევებში გამოტოვებულია კონცეპტი (3) ან მთლიანად სტროფი (2). ნუცუბიძისეულ თარგმანში **განგება** თერთმეტიდან მხოლოდ ორ სტრიქონშია გამოტოვებული, სამ შემთხვევაში გამოყენებულია **Провидение** ფორმა, ოთხ შემთხვევაში – **Рок**, ასევე ერთ შემთხვევაში – **судьбина**. მთარგმნელს ერთ შემთხვევაში შემოაქვს ახალი კონცეპტი „**ზეციური ნება**“ „განგების ნების“ შესატყვისად (воли неба). ხალვაში **განგების** შესატყვისად ყველაზე ხშირად (6-ჯერ) იყენებს ზოგადი რეფერენციის გამომხატველ სიტყვას – **ღმერთი**, მხოლოდ ორ შემთხვევაში შეუსატყვისებს **ბედისწერას (Рок)**, სამ შემთხვევაში კი საერთოდ გამოტოვებს მას.

პოემის პროლოგში წარმოდგენილი **მუმის**, **მეომრისა** და **მიჯნურის** დახასიათების თარგმნისას მინიმალური სხვაობები გვხვდება ნუცუბიძისა და ხალვაშის თარგმანებში, ხოლო ბალმონტი სრულიად თავისუფლად თარგმნის მთელ სტროფს და კარგავს დედნისეულ სახეს თარგმანში.

მთარგმნელები ცდილობენ შეუნარჩუნონ დედანს რუსთაველის მსოფლადქმის გამომხატველი მნიშვნელოვანი ნიუანსები, თუმცა ფილოსოფიური მოძღვრებები უმეტესად გადააქვთ მხოლოდ იდეის დონეზე, გამომსახველობით საშუალებებს კი სუბიექტური ინტერპრეტირებით ქმნიან, რაც ახალ მხატვრულ ჩარჩოს ქმნის პოემისათვის. ასევე, ერთი და იმავე კონცეპტისათვის (მაგ.: განგება) გამოყენებულია სინონიმური ეკვივალენტები (Рок, провиденье), ერთი და იმავე თარგმანის ფარგლებში, რაც არღვევს რუსთაველის ერთგვაროვნების პრინციპს და ბუნდოვანებას იწვევს თარგმანში.

5.2. არისტოტელიზმის კვალი დედანსა და რუსულ თარგმანებში

„ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში მოცემული **მიჯნურის** დახასიათებისას არისტოტელესთან დაკავშირებულია შვიდი მახასიათებელი. თითოეულ მათგანს სრულად და ეკვივალენტურად თარგმნის მხოლოდ ხალვაში (სიბრძნე – мудрость, სიმდიდრე – богатство, სიუხვე – щедрость, მოცალეობა – Досуг, გონება – ум, დათმობა – терпенье, „მძლეთა მებრძოლთა მძლეობას“ – Веру в победу). ნუცუბიძეს სიბრძნე (мудрость), სიუხვე (щедрость), მოცალეობა (покой) და გონება – (ум) გადააქვს დენოტაციური ეკვივალენტით, ხოლო სიმდიდრესა და ფრაზას „მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“ გადმოსცემს მეტაფორებით (Чей удел довольства жизни, мощных мощно

кличет в бой). ბალმონტი დენოტაციური ეკვივალენტით თარგმნის მხოლოდ ბრძენს (умудренный), გონებას შეუსატყვისებს სიტყვას *знать*, ხოლო „მძლეოთა მებრძოლთა მძლეობა“ თარგმნილია ფრაზით – „*Быть победным над врагами*“. გამოტოვებული მახასიათებლების საკომპენსაციოდ მთარგმნელი ამატებს მეტაფორას – *должен зорко видеть сон* და მსაზღვრელს – სწრაფი (*быстрый*).

არისტოტელესგან მომდინარე ფრაზას „**მართალი სამართალი**“ ერთ შემთხვევაში ბალმონტი „**თავისუფალ სამართალს**“ შეუსატყვისებს, ნუცუბიძე – **სამართლის** ნაცვლად **სიცოცხლეს** ახსენებს, ხალვაშთან **სამართლის** შესატყვისად გამოყენებულია **суд** (**სასამართლო**) და დენოტაციური ეკვივალენტითაა თარგმნილი **მართალი – праведный**. მეორე შემთხვევაში სამივე თარგმანში გამოტოვებულია „**მართალი სამართალი**“.

ხალვაშის თარგმანში საერთოდ გამოტოვებულია არისტოტელესთან დაკავშირებული ფრაზა „**სახე ყოვლისა ტანისა**“, ბალმონტი მხოლოდ „სახეს“ თარგმნის (**облик**), „ტანი“ გამოტოვებული აქვს, მხოლოდ ნუცუბიძე თარგმნის სრულყოფილად მთელ სტრიქონს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ბალმონტი და ნუცუბიძე „სახის“ გამოსახატავად განსხვავებულ ფორმებს ირჩევენ. რუსული ენის ბუნებიდან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ნუცუბიძის მიერ აღებული ვერსია **Образ** ბევრად ახლოსაა არისტოტელესეულ, ამ შემთხვევაში კი, რუსთველისეულ, „სახესთან“, ვიდრე ბალმონტის მიერ აღებული ფორმა – **облик**, რაც პირდაპირი თარგმანი უფროა, ვიდრე კონტექსტით გათვალისწინებული შესატყვისი.

არისტოტელესთან დაკავშირებული ტერმინი „**კაცი ვარგი**“ საერთოდ არ გადადის თარგმანებში. ნუცუბიძე ცდილობს პერიფრაზირებულად გადაიტანოს მთელი სტრიქონის იდეა – „კაცი ვარგის“ ნაცვლად ის ახსენებს კარგი სმენის უნარის მქონეს (*способный слушать*), ვინც შეისმენს ავტორის შეგონებებს.

არისტოტელესეული „**კავშირნი**“ არაა ნახსენები ბალმონტთან, ნუცუბიძე და ხალვაში ინტერპრეტირებულად თარგმნიან მას. ასევე მხოლოდ ნუცუბიძე და ხალვაში ახსენებენ **ბუნების საწყისთა ოთხ ელემენტს** (წყალი, ჰაერი, ცეცხლი და მიწა). ხოლო არისტოტელესგან მომდინარე არსებობის მატერიალური მიზეზი „**ნივთი**“ და დანიშნულებითი მიზეზი „**ვალი**“ ეკვივალენტურად თარგმნილი აქვს მხოლოდ

ხალვაშს – **Долг** (ვალი, მოვალეობა) და **сокровище** (განძი). ასევე განძი აქვს გამოყენებული მოცემულ კონტექსტში ბალმონტს, ხოლო „ვალი“ გამოტოვებულია.

გამომდინარე იქიდან, რომ არისტოტელეს მოძღვრებები პოემის უკანა პლანშია წარმოდგენილი და არა პირდაპირ, მთარგმნელები თავისუფლად თარგმნიან მას და ხშირად არასწორი ინტერპრეტაციით გადააქვთ თარგმანებში ან საერთოდ გამოტოვებული აქვთ მთლიანად კონტექსტი. როგორც ჩანს, კონკრეტული შინაარსის გამომხატველი კონცეპტების თარგმნა ბევრად უმარტივდებათ მთარგმნელებს, ვიდრე ზოგადი, სიმბოლური, ფილოსოფიური ტერმინებისა.

5.3. „ვეფხისტყაოსნის“ ქრისტიანული რეალიები რუსულ თარგმანებში

„ვეფხისტყაოსანში“ სამეხასთან დაკავშირებული ფრაზები შემდეგი სახით გადადის თარგმანებში: ბალმონტის თარგმანში სრულადაა თარგმნილი სამივე მათგანი, მხოლოდ განსაზღვრება „ძლიერი“ შეცვლილია „სასწაულებრივით“ და **სული წმიდას** – ემატება ასევე მსაზღვრელი უსხეულო (Он, что **создал** свод небесный, он, что **властью чудесной** людям дух дал **бестелесный**). ნუცუბიძის თარგმანში **მამა ღმერთის** შესატყვისია **создатель**, ძე ღმერთისა, **ძალისა** – **всесильно-всемогущий**, ხოლო **სული წმიდისა** – **дыханье**. ხალვაში თანმიმდევრულად და ზედმიწევნითი სიზუსტით თარგმნის თითოეულ ცნებას: **создал мир** (შექმნა სამყარო) **силой могучей** (ძლევამოსილი ძალით), **სული წმიდა**, დედნის მსგავსად, მოცემულია განსაზღვრება **წმიდის გარეშე** – **Дух**.

პოემის მეორე სტროფში გამოხატული სამეხა შემდეგი სახით გადააქვთ მთარგმნელებს: ბალმონტის თარგმანში დენოტაციური ეკვივალენტით თარგმნილია მხოლოდ **ღმერთი** (Бог), რომელსაც აკლია მსაზღვრელი „ერთი“, „სატანის დამთრგუნველი“ ძე ღმერთი გამოტოვებულია, ხოლო „მიჯნურთა სურვილის მომნიჭებელი“ სულიწმიდა სამ სტრიქონშია განვრცობილი და აქცენტი გაკეთებულია სიყვარულზე. ნუცუბიძე და ხალვაში სამივე შემთხვევაში სრულ შესატყვისობას გვთავაზობენ, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულ ეკვივალენტებს იყენებენ (ნუცუბ.: **единый бог, мощью сатану поправить я мог, Дай мне миджнура**. ხალვ.: **Боже единый, мощь поправить сатану, Дай жить желаньем миджнуров**).

სამეხის გამომხატველ კიდევ ერთ სტროფში ბალმონტი თარგმნის მხოლოდ პირველ და მესამე წევრს (დამბადა – **творец, საზღვარსა დაუსაზღვრებს** –

Закрепляющий границы), მეორე წევრის, ძე ღმერთის გამომხატველი ფრაზა (**ძალი უხილავი** შემწედ ყოვლთა მიწიერთად) საერთოდ გამოტოვებული აქვს, რის საკომპენსაციოდაც იყენებს მხატვრულად განვრცობილ ფრაზას (**подмогой спорой явит малое ничто**). ნუცუბიძე და ხალვაში ამ შემთხვევაშიც კონოტაციური ეკვივალენტებით თარგმნიან სამივე წევრს, მაგრამ იცავენ ეკვივალენტურობის მაღალ ხარისხს (ნუცუბ.: **родил, незримой силой, найдя предел пределам**. ხალვ.: **создан, силой невидимой, ставит всему между**).

სამების, როგორც ერთი მთლიანობის, გამომხატველი კონცეპტები შემდეგი სახითაა წარმოდგენილი თარგმანებში: ბალმონტი კონტექსტთან ერთად სრულად თარგმნის ცნებას „ხატად გთქვეს **მზიანისა ღამისად**“ (образ солнечной ты ночи), ხოლო ფრაზის – „ერთარსებისა ერთისა“ ნაცვლად იყენებს ფრაზას – **кто средоточий есть единство**, „**უჟამო ჟამს**“ კი შეუსატყვისებს სრულიად განსხვავებულ მეტაფორას – **в бурях тишь**. ნუცუბიძეც განხილულ სამ ცნებათაგან ზუსტი შესატყვისობით თარგმნის „**მზიან ღამეს**“ (солнечной ты ночи), „**ერთ-არსება ერთის**“ შესატყვისად იყენებს ფრაზას – „**одного единой мощи**“, ხოლო „**უჟამო ჟამს**“ თარგმნის, როგორც „**Ты вне времени причастно**“. ხალვაშთან „**მზიანი ღამის**“ შესატყვისად იგივე – **солнечно-ночного** გამოიყენება, ხოლო „**ერთარსებისა ერთისა**“ და „**უჟამო ჟამის**“ შესატყვისია „**ერთი და მარადიული**“ (Единого, и Вечного), დამატებულია მათი თანაარსებობის სიცხადე (Верно Единосущего).

სამივე მთარგმნელი დენოტაციური ეკვივალენტით თარგმნის ცნებას „**შვიდგზის**“ (ბალმ.: **не раз, а до семи**, ნუცუბ.: **семикратно**, ხალვ.: **семь раз**). აღსანიშნავია, რომ ხალვაში წმინდა წიგნსაც ამატებს ნათქვამის დასადასტურებლად და იმპლიკაციურად მიუთითებს მასზე (говорится в книге святой).

ბიბლიიდან მომდინარე საღვთო სახელები შემდეგნაირად გადადის თარგმანებში: „**უკვდავს**“ მხოლოდ ნუცუბიძის თარგმანში მოეპოვება შესატყვისი (**обессмертил**), ბალმონტსა და ხალვაშს გამოტოვებული აქვთ. **უცნაური** სამივე თარგმანში დასტურდება, თუმცა სხვადასხვა შესატყვისობით (ბალმ.: **Непонятный**, ნუცუბ.: **Непостижный**, ხალვ.: **Непознаваем Твой образ**). **უთქმელი** მხოლოდ ბალმონტმა (**неизреченный**) და ნუცუბიძემ (**несказанный**) თარგმნეს, ხალვაშს გამოტოვებული აქვს. ბალმონტმა გამოტოვა ატრიბუტები – **ყოფილი, მყოფი, ყურთაგან მოუსმენელი**. სამივე

მათგანს მცირედი სხვაობით თარგმნის ნუცუბიძე (Бывший, сущий, непостижный). ხალვაში მხოლოდ „ყურთაგან შეუსმენელს“ თარგმნის ზოგადი რეფერენციით **неслыханные** (გაუგონარი), „ყოფილისა“ და **ყოფის**“ ნაცვლად დამატებული აქვს **უხვი წყალობა** (щедрые милости).

სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციითაა თარგმნილი ღმერთის ატრიბუტი **უფალი უფლებათა**. მის შესატყვისად ბალმონტი იყენებს ფრაზას – **Царь ты царств** (სამეფოთა მეფე), ნუცუბიძე – **права правого зиждитель**, ხალვაში – **Господин Властей** (რაც, დედნის შესაბამისად, აღნიშნავს ანგელოზთა დასის „უფლებათა“ უფალს). ძალი უხილავი გამოტოვებული აქვს ბალმონტს, ნუცუბიძე და ხალვაში კი სხვადასხვა შესატყვისობებით, სინონიმებით, თარგმნიან მას (ნუცუბ.: **незримой силой**, ხალვ.: **силой невидимой**). სახიერის შესატყვისად სამივე თარგმანში ნეიტრალური ფორმა – **ღმერთი** გამოიყენება, თუმცა განსხვავებას ქმნის მსაზღვრელები. ბალმონტი მხოლოდ **ღმერთს** ახსენებს (**Бог**), ნუცუბიძე **ღმერთის მზერას** შეუსატყვისებს (**божий взгляд**), ხოლო ხალვაში უმატებს მსაზღვრელს – **კეთილი** (**Бог благой**). სტროფი, რომელშიც **მაღლით მაღალი** დასტურდება, საერთოდ გამოტოვებულია ბალმონტთან, ხოლო ნუცუბიძის და ხალვაშის თარგმანებში წარმოდგენილია განსხვავებული შესატყვისობები. ნუცუბიძე მხოლოდ **მაღალს** ახსენებს (**вышний**), ხოლო ხალვაში – **მაღლიდან (მოსულ) უზენაეს წყალობას** (свыше Всевышний милость). არსთა მხედს ბალმონტი შეუსატყვისებს **ყოვლისმხილველს** (**всезрящий**), ნუცუბიძე – **სამყაროს მომცველს** (**объемлющий весь свет**), ხოლო ა. ხალვაში – **ნებისმიერის დამნახავს** (**зрящим любых**). მოწყალე თარგმნილია ნუცუბიძესთან სიტყვით **благой** (კეთილი), ხოლო **წყალობა**, როგორც **ძღვენი** (даянье) ხალვაში **მოწყალეს** შესატყვისად **შემოქმედს** (**Творец**) იყენებს, **მოწყალე** კი გადააქვს ზუსტი შესატყვისით (**милости**). ბალმონტთან შესაბამისი სტროფი საერთოდ არ არის თარგმნილი. **გულისთქმათა მფლობელი** სამივე თარგმანში განსხვავებული ინტერპრეტაციით გვხვდება. ბალმონტი მის შესატყვისად იყენებს ფრაზას **вождь сердечных всех речей** (ყველა გულითადად სიტყვის წინამძღოლი), ნუცუბიძე – **вождлений повелитель** (გულისთქმათა მბრძანებელი), ხალვაში – **владелец страстей, чувств** (ვნებების, გრძნობების მფლობელი).

პოემაში ბიბლიურია ტერმინები **სატანა** და **ემმაკი**. სამივე მთარგმნელი პირდაპირ თარგმნის სატანას (**Сатана**), ოთხიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში ნუცუბიძე სატანის შესატყვისად იყენებს **ემმაკს** (**Дьявол**).

ემმაკი სულ ცხრა კონტექსტში გვხვდება პოემაში სხვადასხვა ფორმით (ემმა, ემმაურობა, ემმაკი, საემმაკო). ბალმონტი ექვს შემთხვევაში **ემმაკის** შესატყვისად **Дьявол** ფორმას იყენებს, ორ შემთხვევაში გამოტოვებული აქვს, ერთ შემთხვევაში კი კონოტაციურ ეკვივალენტს – დემონს (**Демон**) შეუსატყვისებს. ნუცუბიძის თარგმანში ექვსჯერ დასტურდება **ემმაკის** შესატყვისად **Дьявол** ფორმა, ორ შემთხვევაში **ბოროტება** (**зло**) გამოიყენება, ხოლო ერთ შემთხვევაში – **наваждение** (**აკვიატება, ბოდვა**), რასაც კონტექსტი განაპირობებს („ვძებნეთ და კვალი ვერ ვპოვეთ, დავსწამეთ ემმაურობა“). ხალვაში მოცემულ კონტექსტებში **ემმაკის** შესატყვისად საერთოდ არ იყენებს **Дьявол** ფორმას. ცხრა შემთხვევიდან ხუთ შემთხვევაში **Черт** ფორმა დასტურდება თარგმანში, ორ შემთხვევაში – **Сатана**, ერთ შემთხვევაში კი გამოტოვებულია **ემმაკი** და მხოლოდ მისი მსაზღვრელება („სიცუდე და სიბილწე“) თარგმნილი – **дерзкого, нечистого, злого духа** (თავხედი, უწმინდური, ბოროტი სული). კონტექსტში, როდესაც დავარზე განრისხებული როსტევანი **ემმაკს** ახსენებს („მე ღმრთისა ვუთხარ, დაუბამს მას **ემმაკისა** ბადესა“ 574.2), მთარგმნელი იყენებს ფრაზას – **Злая ведьма**, რაც **ბოროტ ჯადოქარს** გულისხმობს, რამდენადაც ის მიემართება ნესტან-დარეჯანს, რომელმაც შესცოდა მამის წინაშე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიზუსტის მხრივ **Дьявол** უფრო ახლოს არის **ემმაკთან**, ვიდრე **черт**, რამდენადაც **черт** ბევრ სხვა მნიშვნელობასაც შეიცავს (ემმაკი, დემონი, ავი სული, ჭინკა, ჯოჯობეთი, ჯანდაბა) და ბუნდოვანს, არაზუსტს ხდის სათარგმნი ტერმინის მნიშვნელობას.

რუსთველოლოგები **ემმაკს** მოიაზრებენ ატრიბუტში **უშობელი**. ბალმონტი მას არ ახსენებს თარგმანში, თუმცა მომაკვდავის საპირისპიროდ წარმოგვიდგენს ოპოზიციურ წყვილში (**смертный это или нет**), ნუცუბიძე **ზეციდან ჩამოვარდნილს** (**низвергнут небесами**) უწოდებს მას, ხალვაში მხოლოდ მოცემულ კონტექსტში იყენებს **Дьявол** ფორმას, თუმცა ამჯერად არა პირდაპირ ემმაკის, არამედ ატრიბუტის თარგმნა იყო საჭირო, რაც არცერთი თარგმანის შემთხვევაში არ არის სრულად შესატყვისი.

„ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილი ბიბლიური ტერმინები – **სამოთხე, ედემი, ალვა, ბისონი, ჯეონი, ევფრატი** შემდეგი სახით გადადის თარგმანებში: **სამოთხე**

ერთადერთხელ დასტურდება პოემაში და მის შესატყვისად სამივე თარგმანში გამოყენებულია ფორმა **Рай**. ბისონის შესატყვისად ბალმონტი იყენებს **ევფრატს (Евфрат)**, ნუცუბიძე საერთოდ გამოტოვებს მას. **ჯეონს** გამოტოვებს ბალმონტი, ნუცუბიძე ზოგადი რეფერენციით მოიხსენიებს – **სამოთხის მდინარე (Райская Река)**. ხალვაში ზედმიწევნით ზუსტად, პირდაპირ თარგმნის ორივე მდინარეს – **ბისონსა და ჯეონს (Фисон, Джеон)**. **ევფრატს** კი სამივე მთარგმნელი პირდაპირ თარგმნის (**Евфрат**).

სამოთხესთან დაკავშირებულ ტერმინებს შორის სიხშირითა და ეკვივალენტების მრავალფეროვნებით გამოირჩევა სამოთხის ბაღი – **ედემი** და ედემის ხე – **ალვა**. სიტყვა **ალვა** პოემაში 37-ჯერ გვხვდება, თარგმანებში კი უმეტესად **ალოე (Алоэ)** შეესატყვისება. ბალმონტი ერთგან მის შესატყვისად იყენებს ზოგადი რეფერენციის გამომხატველ ფორმას – **სამოთხის ხე (Райское Древо)**, ხოლო 5 შემთხვევაში – **Тополь** ფორმას. ნუცუბიძე უპირატესობას ანიჭებს ფორმას **ჩინარა (ჭადარი)**, ერთხელ იყენებს ფორმას **Алоэ, ოთხჯერ – Тополь**. ხალვაში – უმეტესად იყენებს ფორმას **Тополь**, მხოლოდ ერთ შემთხვევაში დასტურდება – **Чинара**.

ედემი პოემაში სულ 9-ჯერ გვხვდება, თარგმანებში კი გადადის დენოტატიური ეკვივალენტით – **Эдем** ან ზოგადი რეფერენციით – **სამოთხის ბაღი (Райский сад)**. ბალმონტი და ხალვაში ერთ შემთხვევაში **ედემს სამოთხეს (Рай)** შეუსატყვისებენ, ასევე ერთ შემთხვევაში ხალვაში იყენებს **ბაღთა ბაღს (Сад садов)**. ნუცუბიძე კი ამ შემთხვევაში სიზუსტეს იცავს და ყველა შემთხვევაში პირდაპირ გადააქვს **ედემი** თარგმანებში.

მთარგმნელები ქრისტიანული რეალიების თარგმნისას განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენენ და ცდილობენ მაქსიმალური სიზუსტით გადაიტანონ თარგმანში თითოეული ნიუანსი. კონკრეტული რეფერენციის გამომხატველი კონცეპტები უმეტესად დენოტაციური ეკვივალენტებით გადადის თარგმანებში, ხოლო ღმერთის ატრიბუტებისა და უზენაესის მხატვრული აღწერების თარგმნა გარკვეულ სახეცვლილებებს იწვევს, რაც განპირობებულია კონტექსტის სიღრმისეული გააზრების სირთულით.

VI თავი. ტერმინები დევი და ქაჯი/ქაჯეთი „ვეფხისტყაოსანში“ და მათი შესატყვისები რუსულ თარგმანებში

რუსთაველი პოემაში იყენებს ქართული მითოლოგიისთვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებს – **დევი** და **ქაჯი**. **დევი** „ვეფხისტყაოსანში“ სულ შვიდჯერ დასტურდება. მთარგმნელები უმეტეს შემთხვევაში დენოტაციურ ეკვივალენტს – **Дэв** ფორმას იყენებენ, სინონიმური ფორმები მხოლოდ თითოჯერაა გამოყენებული – ბალმონტი და ხალვაში **დევის** შესატყვისად თვისობრივად განსხვავებულ ეკვივალენტებს იყენებენ (ბალმ.: **Призрак** (მოჩვენება), ხალვ.: **Гигант** (გიგანტი)), რაც გამოხატავს თვისობრივ რეფერენციას და არა საგნობრივს. ასევე ერთ შემთხვევაში ხალვაში **დევის** შესატყვისად **Демон** ფორმას იყენებს, ხუთ შემთხვევაში პირდაპირ თარგმნის მას (**Дэв**). ნუცუბიძე შვიდივე შემთხვევაში **დევის** ეკვივალენტად **дэв** ფორმას იყენებს.

„ვეფხისტყაოსანში“ **ქაჯ** ძირით დასტურდება 54 სიტყვა – **ქაჯი (31)** და **ქაჯეთი (23)**. თარგმანებში **ქაჯს** უმეტესად იგივე **Кадж** ფორმა შეესატყვისება. ხალვაში გვთავაზობს კონცეპტუალურ ეკვივალენტს **волхвы**, რითაც მთარგმნელი **ქაჯთა** შესაძლებლობებს უსვამს ხაზს. ბალმონტი ორ შემთხვევაში **ქაჯის** შესატყვისად იყენებს სიტყვას – **виденье (ხილვა)**. მისი გამოყენება კონტექსტითაა განპირობებული (გაუჩინარების სემანტიკის გადმოცემა). **ქაჯეთის** თარგმნისას ნუცუბიძეს ოთხ შემთხვევაში აღწერიტად გადააქვს ცნება – **ქაჯეთის** ნაცვლად წერს – **ქაჯების კუთხე, ქვეყანა, ქაჯებთან (край каджей, страну каджей, каджской стороной, К каджам ..)**, სხვა შემთხვევებში სრული შესატყვისობაა თარგმანებში.

VII თავი. მიჯნურისა და მოყვასის კვანტიტატიური და კვალიტატიური ანალიზი „ვეფხისტყაოსანსა“ და მის რუსულ თარგმანებში

„ვეფხისტყაოსანში“ ორი ძირითადი თემის – მეგობრობისა და სიყვარულის – თანაბარმნიშვნელოვნებას სიუჟეტთან ერთად ტერმინოლოგია უსვამს ხაზს. რუსთაველი პოემაში სიტყვას „**მოყვარე**“ იყენებს როგორც შეყვარებულის, ასევე მეგობრის მიმართ, მათ განმაცალკეებელ, განმასხვავებელ ტერმინებად კი შემოაქვს **მიჯნური** და **ძმობილი** (ძმად-ნაფიცი, ძმად-ფიცი, ძმად-ნაფიცარი, ძმად-შეფიცული).

მიჯნურ ძირით პოემაში 63 სიტყვა დასტურდება. ავტორი 17 სხვადასხვა ფორმით იყენებს მას. მთარგმნელები არერთგვაროვან ეკვივალენტებს იყენებენ მათ შესატყვისად. გამომდინარე იქიდან, რომ **მიჯნური** მხოლოდ აღმოსავლური კულტურისთვისაა გასაგები, მთარგმნელები სხვადასხვაგვარი პრინციპით თარგმნიან

მას. ეკვივალენტების მრავალფეროვნებით გამოირჩევა ბალმონტის თარგმანი, რადგანაც მას არ გადააქვს რუსულში ტერმინი **მიჯნური** და უძებნის ფუნქციურ ეკვივალენტებს: **влюбленный (8), любимый (2), любить (6), любленья (1), любовники (1), любовный (2), любовь (27), милый (3), полюбить (2), любляя (1)**. მთარგმნელი 9 შემთხვევაში არ თარგმნის **მიჯნურს**, ხოლო ერთ შემთხვევაში მთლიანად სტროფი აქვს გამოტოვებული.

ყველაზე ხშირად **მიჯნურის** შესატყვისად იმავე **მიჯნურ** ფორმას იყენებს ეკვივალენტად ნუცუბიძე. მთარგმნელი 63 შემთხვევიდან 43-ჯერ იყენებს ტერმინს – **მიჯნურ**, რვა შემთხვევაში კი გამოტოვებს მას. დანარჩენ 10 შემთხვევაში **მიჯნურის** შესატყვისად გამოყენებულია სიტყვები – **влюбленный (1), любимый (1), любить (2), любовь (8)**.

მიჯნურ ფორმას უპირატესობა ენიჭება ხალვაშის თარგმანშიც (39). აღსანიშნავია ისიც, რომ ხალვაში არა მარტო სესხულობს სიტყვა **მიჯნურს**, არამედ რუსულშივე აწარმოებს სიტყვა **მიჯნურობას** იმავე ძირით და ქმნის ნეოლოგიზმს – **Миджнурство (9)**, რაც სხვა მთარგმნელების შემთხვევაში არ დასტურდება. ხალვაშისეული თარგმანის კიდევ ერთი თავისებურებაა **სამიჯნუროს** ეკვივალენტი **невеста**, რომელიც ერთადერთხელ დასტურდება თარგმანში. ხალვაში ასევე იყენებს სინონიმურ ეკვივალენტებს – **влюбиться (1), возлюбленные (1), любимая (1), влюбленный (2), любить (3), любовь (5)**, გამოტოვების შემთხვევა კი მხოლოდ ერთხელ დასტურდება მთელ პოემაში.

იმის გამო, რომ **მოყვასი** თანაბრად მიემართება **მიჯნურსა** და **მეგობარს**, შესატყვისობების მხრივაც არაერთგვაროვანი სურათი გვაქვს თარგმანებში. ბალმონტი **მოყვასის**, როგორც **მეგობრის** შესატყვისად იყენებს ოთხ სხვადასხვა სიტყვას (**друг, брат, товарищ, любимой**), ხოლო **მოყვასის**, როგორც **მიჯნურის** გამოსახატავად – ორი ფუძისგან (**любн-, милый**) ნაწარმოებ სიტყვა-ფორმებს, რაც საკმაოდ მრავალფეროვან სურათს ქმნის შესატყვისობების თვალსაზრისით.

ასეთივე ვითარება გვაქვს ნუცუბიძის თარგმანშიც. გარდა **друг** და **люб** ძირებისა, მთარგმნელი იყენებს კონოტაციურ ეკვივალენტებსაც – სატროსთან მიმართებით **მოყვასის** შესატყვისად იყენებს **მიჯნურსა** და საყვარელს (**მიჯნურ**,

милый), მეგობართან მიმართებით – ძმობილს (**побратим**), ხოლო საზოგადოდ, მოყვასის გამოსახატავად ტერმინს **родной** მოიშველიებს.

ხალვაში მეგობართან მიმართებით იყენებს შესატყვისებს – **друг (16), подруга (2), друзья (6), дружба (4), дружеской (1), собрата (2), товарищ (1), ближний (2), родной (1), приятель (1)**, ხოლო მიჯნურთან მიმართებით – **любимый (11), влюбленный (1), любить (1), милый (1)**. მოყვარულის შესატყვისად მთარგმნელს გამოყენებული აქვს ტერმინი **почитатель (1)**.

როგორც ჩანს, მოყვასის თარგმნისას მთარგმნელები ირჩევენ კონტექსტუალურ ეკვივალენტებს, რომლებსაც ცვლიან ასევე კონტექსტის შესაბამისად, რაც არღვევს ერთგვაროვნებას თარგმანში და არასრულად ასახავს დედანს.

VIII თავი. „ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების კორპუსლინგვისტური და კრიტიკული ანალიზი I და III თავების მიხედვით

პირველი და მესამე თავის კორპუსლინგვისტურმა და კრიტიკულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ბალმონტი სრულიად თავისუფალი პრინციპით თარგმნის პოემას. თარგმანში იშვიათად გვხვდება სრული შესატყვისობის შემთხვევები. პერსონაჟების დახასიათების დროს ბალმონტი თვითნებურად ცვლის მხატვრულ სახე-სიმბოლოებს. მაგალითად, მესამე თავში ტარიელის დახასიათებისას ვარდის მეშვეობით გადმოცემული სახის მეტაფორა მხოლოდ ერთ შემთხვევაში გადადის ბალმონტისეულ თარგმანში და ისიც სახეცვლილი: „არცა გახლიჩა ბაგეთათ თავი ვარდისა კონამან“ (3.89.4) – „Никакого нет вещанья **розоцветных губ** его“ (2.84.4). ვარდი (**роза**) ამ შემთხვევაში, არა მეტაფორის, არამედ განსაზღვრების სახითაა წარმოდგენილი ფერის შემადგენლობაში და ახასიათებს არა ტარიელს, არამედ მის ტუჩებს – ვარდისფერი ტუჩები, რაც ცვლის პერსონაჟის ვიზუალურ სურათს, რამდენადაც, როგორც წესი, ვარდისფერი ტუჩები ქალის ტუჩებთან იწვევს ასოციაციას და მამაკაცის დახასიათებაში მისი გამოყენება გარკვეულ უხერხულობას ქმნის. ასევე მესამე თავში დაკარგულია ჰიპერბოლა თინათინის დახასიათებისას: *ჰქონდა მზისაცა ცილობა*. ამის საპირისპიროდ განვრცობილია ისევ თინათინთან დაკავშირებული შედარება: *უგავს პირისა სინათლე მთვარისა მოვანებასა – как озаренье, Полнолунное виденье перед ним блестит красой*. ასეთივე განვრცობის მაგალითია: *ვნახე რამე ეშმაკისა სიცუდე და სიბილწეო – Здесь змея являла жало – это был нечистый дух*. ამ შემთხვევაში

მთარგმნელი ეშმაკის ეკვივალენტად *змея* ფორმას იყენებს, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მთარგმნელს ბოროტების სიმბოლოდ *გველის* კონცეპტი შემოაქვს და კიდევ უფრო მკაფიოდ გამოკვეთს ბოროტებას, რომელსაც უმატებს განმარტებას – უწმინდური სული.

განსხვავებულადაა წარმოდგენილი როსტევეანის მხატვრული სახე ბალმონტის თარგმანში. რუსთველისეული როსტევეანი არის მშვიდი, გაწონასწორებული, ბრძენი, ძლიერი, ბალმონტთან კი შედარებით უფრო დინამიკური, პრაგმატული, ემოციური და სუსტია. ამაზე მეტყველებს როსტევეანის ემოციური ფრაზები თარგმანში: არ კაცურად გარდამკოცნა (3.110.3) – Я без слова был осмеян (2.105.3). ასეთივე ემოციურია როსტევეანი საკუთარ გასაჭირზე საუბრის დროს თარგმანში: „*Богу надоел мой покой, впредь я на печаль обречен*“ (2.106.4) (დედაწი – „*უცილოდ ღმერთსა მოვსძულდი აქამდის მე მხიარული*“ (3.111.4). მთარგმნელი ექსპლიციტურად გადმოსცემს როსტევეანის მდგომარეობას, მიუხედავად იმისა, რომ გამოტოვებს ფრაზას – [ცხოვრება], რომელიც აქამდე მხიარული იყო, რაც სტრატეგიების ცვლილებას უსვამს ხაზს. ბალმონტი სიუჟეტებისა და პერსონაჟთა დახასიათების დროს ხშირად ამატებს სხვადასხვა მხატვრულ გამომსახველობით საშუალებებს – მეტაფორებს (Солнце – очи, ночи – брови, вся – звезда среди светил, Знатных блеск умножен в силе), შედარებებს (Новый царь с лицом царицы был как в тучке лик денницы, Как цветок среди тумана), ეპითეტებს (светлой Тинатин, Птицезоркий царь) და სხვ. რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მთარგმნელის შემოქმედებითი შესაძლებლობების ჭარბ გამოყენებას მთარგმნელობით საქმიანობაში.

ბალმონტისეულ თარგმანში, როგორც წესი, აკლდება ისეთი ფორმები, როგორებიცაა: მოდალური ზმნები (მიდით, მოდით), მეშველი ზმნები (არის, იყო), სემანტიკის გასაძლიერებლად გამოყენებული სინონიმური პარალელები: „*მეფე გაწყრა, გაგულისდა*“ (აკლია – გაგულისდა). არ ითარგმნება ლექსიკური ერთეულები – რული, სადავე, გიშერი, მოლიზღარი... ძირითადად ისეთი სიტყვა-ფორმების კლება გვხვდება, რომელთა ნაკლებობა ტექსტში ბუნდოვანებას არ იწვევს, თუმცა, ცხადია, იკლებს დედნის მხატვრული ღირებულება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მეტაფორის კლებასთან ან ნეიტრალური ფორმით ჩანაცვლებასთან, დემეტაფორიზაციასთან, გვაქვს საქმე. მართალია, ბალმონტი ცდილობს

კომპენსირებას განვრცობისა და ინტერპრეტაციის საშუალებით, მაგრამ ამ გზით იკარგება დედნისეული ვითარება წყარო-ტექსტისა.

ჩვენ მიერ შესწავლილი ორივე თავის ნუცუბიძისეული თარგმანი უმეტესად სრული შესატყვისობებით ხასიათდება. პირველი თავის 40 სტროფიდან 30 სტროფი სრული შესატყვისობის ნიმუშია, ხოლო მესამე თავის 36 სტროფიდან 14 სტროფი თითქმის სრულად ასახავს დედნის ვითარებას. ორივე თავის დარჩენილი სტროფები კი მინიმალური ცვლილებებით გადააქვს მთარგმნელს მეორე ენაში. ნუცუბიძე ითვალისწინებს ქართული ენის ბუნებას და შესაბამისად უძებნის შესატყვისებს თარგმანში. ეს გამოიხატება ისეთ შემთხვევაში, როდესაც მთარგმნელმა ფრაზაში „ვარდთა და **ნეხვთა** ვინათგან მზე სწორად მოეფინების...“ ნეხვს შეუსატყვისა **сорняк** ფორმა (სარეველა). სავარაუდოდ, **ნეხვთა** რუსთაველის პოემაში გამოხატავდა მცენარეს, ნეხვბალახას, რამდენადაც ვარდთან მიმართებით ასე ბევრად ბუნებრივი ოპოზიციური წყობა იქმნებოდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ნივთიერებას ვერ ექნება მრავლობითი ფორმა, მცენარე კი თავისუფლად დაირთავდა ნართანიანი მრავლობითს (ნეხვ-თა), ამგვარი გადაწყვეტა მთარგმნელის მხრიდან კიდევ უფრო ლოგიკური აღმოჩნდება.

ნუცუბიძის თარგმანში აკლია ფუნქიური ელემენტები, ფრაზები – *მისმან თავისა წონამან, ვერვის ძალ-უც განკურნება, არ კაცურად გარდამკოცნა, ყოვლმან პირმან ვაგლახ მიყოს, ადრე ცნობ, „არ კაცურად გარდამკოცნა“, მისგან გაუუმეცარდა, მით დავყოვნე ხანი მუნ და, მისმან თავისა წონამან, გული უმაგარდა.* გვაქვს ცალკეული ლექსიკური ერთეულის კლების შემთხვევაც – არ არის თარგმნილი *მუფარახი*.

სრულ შესატყვისობებთან ერთად ნუცუბიძის თარგმანში შეინიშნება რამდენიმე თავისებურება: დედნისეული ფორმები „ზეცად ანაფრენი“, „ცათამდისცა გა-ცა-ფრინდეს“, რომლებიც ზოგადი რეფერენციის გამომხატველია, თარგმნილია კონკრეტული რეფერენციით – **პეგასუსით**, რაც არაბუნებრივია, რამდენადაც პეგასუსი მერანს უფრო მიემართება, ვიდრე ზოგადი რეფერენციის გამომხატველ ფრაზებს.

ავთანდილის შესატყვისად ნუცუბიძე იყენებს **ВИТЯЗЯ** ფორმას, რაც გარკვეულ შეუსაბამობას იწვევს, რამდენადაც *მოყმე* ტარიელს მიემართება დედანში და

თარგმანშიც სწორედ **ВИТЯЗЯ** ფორმა უნდა იყოს წარმოდგენილი განსაზღვრულ კონტექსტებში და არა მონაცვლეობით.

გარკვეულ ცვლილებას განიცდის ავთანდილის საროსთან შედარება, რომელშიც აღმატებითი ხარისხის ნაცვლად ნეიტრალური შედარება დასტურდება – **საროსა მჯობი, ნაზარდი** – **строен станом, как чинара**, რაც კონცეპტუალურ სხვაობას იძლევა.

ნუცუბიძე აბრსტრაქტულად, ბუნდოვნად გადმოსცემს ლხინის სცენას – *დღე ერთ გარდახდა პურობა, სმა-ჭამა იყო, ხილობა* – *Ели, пили, день проходит незаметно в наслажденьи.*

განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი თავისებურება, როგორცაა მეფისა და ავთანდილის დასახელება საპირისპირო თანმიმდევრობით (*Автандил и царь Ростан*), რაც სრულიად მოულოდნელია მსგავს კონტექსტში, რადგან გადაადგილებას არანაირი მეტრული წყობის ფაქტორი არ უშლიდა ხელს. ამგვარი უსაფუძვლო და მექანიკური გადაადგილება სოციალური სტრუქტურების იერარქიულობის დარღვევას იწვევს და მცდარ შეხედულებებს ამკვიდრებს უცხო ენობრივი და კულტურული მატარებლების მქონდე მკითხველში.

I და III თავების კორპუსლინგვისტურმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ხალვაში უპირატესობას ანიჭებს სიტყვასიტყვით თარგმნას. პირველ თავში სრული შესატყვისობის 40-დან 28-მდე სტროფი დასტურდება, დანარჩენ 12 სტროფში გვაქვს კლება-მატების შემთხვევები. ამასთანავე, მინიმალური სახის ცვლილებები დასტურდება შესატყვის სტროფებშიც. დაახლოებით იგივე ვითარება გვაქვს მესამე თავშიც – 36 სტროფიდან სრული შესატყვისობა გვაქვს 24 სტროფში, 12 სტროფში კი ცვლილებები მინიმუმამდეა დაყვანილი.

ხალვაშის თარგმანში იშვითად, მაგრამ მაინც დასტურდება როგორც მხატვრული, ასევე კონცეპტუალური სხვაობები. მთარგმნელი აკლებს მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს (მაგ.: ვარდისა და მზის მეტაფორებს ავთანდილთან მიმართებით). გარკვეულ ცვლილებებს განიცდის როსტევანის მახასიათებლები პირველ სტროფში – შეცვლილია ეპითეტები – *მოწყალე, მორჭმული, განგებანი, კვლა მოუბარი წყლიანი* (Величественный, упорный, жизнерадостный, оратор красноречивый, задорный). განსაკუთრებული შეუსაბამობა გვაქვს ეპითეტის –

მაღლის – თარგმნისას. როგორც ჩანს, მთარგმნელმა ამ შემთხვევაში არ გაითვალისწინა დედნისეული ვითარება და პირდაპირ თარგმნა **მაღალი** სიტყვით **высокий**, რაც შეუსაბამობაა. მთარგმნელი დანაკარგის კომპენსირებას განვრცობითა და ინტერპრეტირებით ცდილობს, რითაც აბალანსებს თარგმანში კლება-მატების შემთხვევებს.

ავტორისეულ ინტერპრეტაციასთან გვაქვს საქმე ისეთი მხატვრული გამონათქვამების თარგმნის დროს, როგორებიცაა ქართული კულტურისათვის დამახასიათებელი სიტყვათშეხამებანი და ფიცის ფორმულები, რომლებიც რუსულ ენაში მთარგმნელს მიზან-ენისა და კულტურის შესაბამისი გამომსახველობითი საშუალებებით, ფუნქციური ეკვივალენტის სახით, გადააქვს: „*მისმან თავისა წონამან*“ – *поклѣтсья могу я!*“, „*მასვე მაღლი – Славлю Его!*“ – „*ვაჰ მე*“ – „*Горе мне*“. ასევე კულტურული განსხვავებულობით შეიძლება აიხსნას გარკვეული სემანტიკური გადაწვევის შემთხვევები რამდენიმე ლექსიკური ერთეულის შესატყვისებთან: *დევი – демон, ჩაღანა და ჩანგი – кастанъеты, кимвал, მოსანი და მოშაითი – акробатов, певцов.*

მთარგმნელი ხშირად ცვლის აღწერითი და ორგანული ფორმის ზმნებს, რათა არ დაიკარგოს სათარგმნი სემანტიკა: *(გული) უმაგარდა – (сердцу) он слабеть не дал, გამემწარნეს – стали горьки.* საინტერესოა აღწერითი ფორმების ორგანულით შეცვლის შემთხვევებიც – *ახლოს მივიდა – приблизился*, და პირიქით – არა ესმის – *не стал слушать*. დასტურდება შემთხვევები, როდესაც დედნისეულ ძლიერი ემოციის გამომხატველ ზმნებს თარგმანში ნეიტრალური ფორმები შეესაბამება: *მოახსენა – сказал, ჰკადრა – передал, сказал, ბრძანა – сказал, ბრძანებს – говорит.* ამის საპირისპიროდ გვხვდება ზუსტი შესატყვისობის შემთხვევები: *შემიტყვია – Узнал, ბრძანა – Велел. წასვლა საწყისისგან ნაწარმოებ ზმნებს კი ყველაზე ხშირად отправиться* ფორმა შეესატყვისება.

ხალვაში მუდმივად ცდილობს, შეინარჩუნოს ნეიტრალური, გაწონასწორებული პოზოცია თარგმნის პროცესში და რამდენადაც შესაძლებელია, შექმნას ორიგინალთან მაქსიმალურად დაახლოებული თარგმანი. ემპირიული მასალის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მთარგმნელი ზედმიწევნით კარგად ასრულებს დასახულ მიზანს.

დასკვნები

„ვეფხისტყაოსნის“ რუსული თარგმანების კორპუსლინგვისტურმა და კრიტიკულმა ანალიზმა ცხადყო, რომ თითოეული მთარგმნელის მთარგმნელობითი პრინციპები და სტრატეგიები მკვეთრად განსხვავდება ერთმანეთისგან. ბალმონტი თავისუფალი თარგმნის პრინციპს ანიჭებს უპირატესობას და საგრძნობლად ცვლის წყარო-ტექსტს. მთარგმნელი სიუჟეტებისა და პერსონაჟების დახასიათების დროს ხშირად ამატებს სხვადასხვა მხატვრულ-გამომსახველობით საშუალებებს, რაც გამოკვეთს ბალმონტის შემოქმედებითი შესაძლებლობების ჭარბ გამოყენებას მთარგმნელობით საქმიანობაში. თარგმანში გადანაცვლებულია ინფორმაციული სტრუქტურები, სტრიქონები, სტროფები, დარღვეულია საზღვრები სტრიქონებსა და სტროფებს შორის, უთარგმნელია როგორც მთლიანად სტროფები, ასევე ცალკეული ელემენტები, რომელთა ნაკლებობა ბუნდოვანებას არ იწვევს თარგმანში, მაგრამ იცვლება დედნისელი ვითარება. ამის საპირისპიროდ ბალმონტი ცდილობს დაკარგული მხატვრული საშუალებების კომპენსირებას ინტერპრეტაციითა და განვრცობით, რითაც თითქოს აბალანსებს ტექსტის მხატვრულობის ხარისხს და ცდილობს მიზან-ენაში წყარო-ტექსტის მხატვრულ ადაპტაციას.

წყარო-ტექსტის მიზან-ტექსტად გარდაქმნის განსხვავებულ სტრატეგიებს გვიჩვენებს ნუცუბიძისეული თარგმანი, რომელიც ეკვივალენტურობის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მთარგმნელი ითვალისწინებს წყარო-ენისა და მიზან-ენის ვითარებას და ცდილობს ზედმიწევნითი სიზუსტით გადაიტანოს როგორც იდეური, ასევე შინაარსობრივი და მხატვრული მახასიათებლები თარგმანში. ნუცუბიძისეულ თარგმანში გვხვდება ცალკეული სიტყვა-ფორმებისა და ფუნქციური ელემენტების კლების შემთხვევები, რომელთა დაკარგვა მნიშვნელოვნად არ ამორებს თარგმანს დედანთან. ამასთანავე, თარგმანში თავს იჩენს რამდენიმე თავისებურება, რომლებიც მნიშვნელოვნად ცვლის წყარო-ტექსტის ვითარებას და არასწორი ინტერპრეტაციის გავრცელების საფუძველს ქმნის.

განხილული თარგმანებისაგან როგორც თარგმანის სტრატეგიების, ასევე პოემის მოცულობის თვალსაზრისით საგრძნობლად განსხვავდება ა. ხალვაშის მიერ შესრულებული პოეტური თარგმანი, რომელიც ვრცელ რედაქციას ეყრდნობა და ზედმიწევნითი სიზუსტით ხასიათდება. ხალვაში პირდაპირი თარგმანის პრინციპს

ანიჭებს უპირატესობას და ძირითადად დენოტატიური ეკვივალენტებით გადააქვს კონცეპტები თარგმანში. იდიომატური გამონათქვამებისა და ფიცის ფორმულების თარგმნისას ხალვაში იყენებს კონტექსტუალურ ეკვივალენტებს კულტურული ადაპტაციის მიზნით, რაც ეკვივალენტურობის ხარისხზე დადებითად აისახება.

მსოფლმხედველობრივი წყაროების თარგმნის დროს მთარგმნელებს უმეტესად გადააქვთ რუსთველისეული იდეები, მაგრამ იშვიათად გადააქვთ ამ იდეების გამომხატველი საშუალებები, თავად ქმნიან მათ, რაც ახალ მხატვრულ ჩარჩოს ქმნის პოემისათვის.

როგორც აღმოჩნდა, დინამიკური, აქტიური სიუჟეტებისა და კონკრეტული, მარტივი კონცეპტების თარგმნა იძლევა ადეკვატური ტრანსფერის შესაძლებლობას თარგმანებში, ხოლო ზოგადი კონცეპტებისა და მათი მხატვრული აღწერების თარგმნა გარკვეულ სახეცვლილებებს იწვევს, რაც განპირობებულია კონტექსტის სიღრმისეული გააზრების სირთულით. აღსანიშნავია ისიც, რომ, რაც უფრო ზოგადი შინაარსის გამომხატველია ლექსიკური ერთეული, მით უფრო მეტი სინონიმი გამოიყენება თარგმანში შესატყვისების შერჩევისას, რაც კიდევ უფრო მეტ მრავალფეროვნებას ქმნის თარგმანებში.

ცალკეული კონცეპტების თარგმნისას მთარგმნელები ვერ იჩენენ თანმიმდევრულობას, რაც გამოიხატება არაერთგვაროვანი ეკვივალენტების გამოყენებით ერთი და იმავე კონცეპტის მიმართ. ეკვივალენტები იცვლება არა მხოლოდ სხვადასხვა მთარგმნელებთან, არამედ ერთი თარგმანის ფარგლებშიც, რაც არღვევს მთარგმნელთა მიერ შერჩეულ პრინციპებს.

თარგმნის პროცესში, მნიშვნელოვანია, მთარგმნელი სიღრმისეულად ჩასწვდეს დედნისეულ ვითარებას და საფუძვლიანად გაიაზროს თითოეული ტერმინის როგორც პირველადი მნიშვნელობა, ასევე ავტორის ჩანაფიქრიდან გამომდინარე კონტექსტის შესაბამისი ფუნქცია და არსი. წყარო-ტექსტში წარმოდგენლ ტერმინთა ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზის გარეშე შეუძლებელია ადეკვატური შესატყვისების მოძებნა მიზან-ენაში და ეკვივალენტური თარგმანის შექმნა. მხოლოდ ამის შემდეგ უნდა აირჩიოს მთარგმნელმა პრინციპი, სტრატეგია, რომელსაც ერთგულად დაიცავს მთელი პოემის თარგმნის პროცესში, რათა არ დაირღვეს ერთგვაროვნება წყარო-ტექსტისა. მართალია, მთარგმნელი თავისუფალია თავის

არჩევანში სტრატეგიის არჩევისას, მაგრამ მნიშვნელოვანია სწორედ მის მიერ არჩეული სტრატეგიის ერთგულებისა და თანმიმდევრულობის დაცვა თარგმნის პროცესში, რათა თარგმანი სრულად აკმაყოფილებდეს როგორც მეცნიერული კრიტიკის, ასევე მისით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველის მოთხოვნებს.

სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი დებულებები აისახა შემდეგ პუბლიკაციებში:

1. მ. მჟავანაძე, კონცეპტები დევი და ქაჯი/ქაჯეთი „ვეფხისტყაოსანში“ და მათი შესატყვისები რუსულ თარგმანებში, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, N28, 2022, გვ. 100-110, <https://enadakultura.com/>, ბეჭდ.: ISSN 1987-7323-7900; ელ.: E-ISSN 2720-7900, <https://doi.org/10.52340/lac>, Google scholar, Crossref, Scilit, Impact Factor, www.techinformi.ge.
2. მ. მჟავანაძე, ქრისტიანული ტერმინოლოგიის კორპუსლინგვისტური ანალიზი „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ თარგმანებში, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“, XXVI, 2022, გვ. 96-105, <http://ejournals.atsu.ge/Kartvelology/>, SSN 1512-09-53, DOI: 10.54635/tpks.2022.32putk, ERIH PLUS.
3. მ. მჟავანაძე, არისტოტელიზმის კვალი „ვეფხისტყაოსანსა“ და მის რუსულ თარგმანებში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრის პერიოდული სამეცნიერო შრომები, VIII ტომი, 2022, http://science.org.ge/?page_id=2534&fbclid=IwAR0ZAaY8NxVy1tyCvtbU73YYSwdhX87gRwYBdX_oN2u1ISGPqakl1yWM8L8, ISSN-2449-2507.

Batumi Shota Rustaveli State University
Faculty of Humanities
Department of Georgian Philology

Marina Mzhavanadze

**Corpus-linguistic and critical analysis of the Russian translations
of “the Knight in the panther skin”**

Specialty - literary studies

A n n o t a t i o n

**of the thesis submitted for acquiring the academic degree of
Doctor of Philology (Ph.D.)**

**Scientific Supervisors: Ramaz Khalvashi - Professor of Batumi Shota Rustaveli State
University,
Manana Tandashvili – Professor of Frankfurt Goethe University.**

Batumi

2023

The dissertation was completed at the Department of European Studies, Faculty of Humanities,
Batumi Shota Rustaveli State University

Scientific Supervisors:

Ramaz Khalvashi

Professor of Batumi Shota Rustaveli State University.

Manana Tandashvili

Professor of Frankfurt Goethe University.

Evaluators:

Nana Tsetskhladze

Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University.

Nana Kajaya

Associate Professor of Batumi Shota Rustaveli State University.

Mirian Ebanoidze

Professor of Akaki Tsereteli State University.

The thesis defense will take place on **the 21rd of February, 2023, at 13:00 o'clock**, at the meeting of the Dissertation Board of the Faculty of Humanities at Batumi Shota Rustaveli State University.

Address: Batumi 6010, 35/32 Ninoshvili/Rustaveli Street, Block I.

The thesis is available at Batumi Shota Rustaveli State University Ilia Chavchavadze library and BSU website (www.bsu.edu.ge).

Secretary of the Dissertation Board: Doctor of Philology, Professor Maia Kikvadze

Introduction

Shota Rustaveli's genius poem "The Knight in the Panther's Skin" is a prominent example of Georgian national literature. The **actuality** of the present work is determined by the general interest in the poem, the abundance of translations and the heterogeneity of Russian translations. The fact that the poem has been translated into different languages, contributed to the popularization of the "The Knight in the Panther's Skin" therefore, we consider it an important task to critically analyze the translations of the poem using modern research methods.

Our **goal** is to present the interrelationships, similarities and differences between the translation and the original, as well as the translations themselves, based on the corpus linguistic and critical analysis of the complete Russian poetic translations, namely those of Konstantine Balmont, Shalva Nutsubidze and Archil Khalvashi. Based on extensive empirical material, we will try to present, on one hand, a discussion of the evaluations expressed in the scientific literature regarding translations and the study of poem translations using modern research methods, and, on the other hand, an analysis of the translation principles and strategies of each translator and an assessment of the degree of equivalence.

In order to achieve the goal, the following **tasks** are set: study of extensive Russian literature related to the issue, electronic processing of empirical material - parallelization, tagging, alignment, and at the last stage, corpus-linguistic and critical analysis of translations by means of classifiers.

The **subject** of the research is "The Knight in the Panther's Skin" and three complete Russian poetic translations. As empirical material, we took the academic edition of the poem under the editorship of A. Shanidze, K. Kekelidze and A. Baramidze published in 1957, 1988 edition of the K. Balmonti translation, The 1979 edition of the Sh. Nutsubidze translation and the bilingual edition of the A. Khalvashi translation (2015).

In order to carry out corpus-linguistic and critical analysis of extensive empirical material, we used both classical and modern **methods** in the research process. Among the classical methods, the critical analysis and comparison-contrast method of the text was used, as well as the quantitative and qualitative analysis methods, among the modern methods, we actively used the corpus linguistic analysis method. The conclusions formulated in the research

results were made based on extensive empirical material processing, which significantly increased the empirical quality of the work.

Using the mentioned methods, the research was carried out systematically. processing of empirical material in automatic mode significantly reduced subjectivity and errors in the work. The conclusions formulated in the **research results** were made based on extensive empirical material processing, which significantly increased the empirical quality of the work.

The **novelty** of the work is the research of Russian translations of "The Knight in the Panther's Skin" using the method of corpus linguistic analysis. We consider the critical analysis of the Khalvashi translation a particularly important task because it is the only research of the mentioned translation that has been published in the academic edition carried out by R. Khalvashi.

The **scientific value** of the thesis is that a new theoretical work was created for readers interested in Russian translations of the poem. In our opinion, the corpus-linguistic analysis of extensive empirical material processed electronically will significantly contribute to the development of digital Georgian studies, in particular, Rustvelology, and the internationalization of the poem.

The work consists of an introduction, eight chapters divided into paragraphs, a conclusion, a list of used literature, and an appendix.

Chapter I. Modern Methods of Rustvelology Research

The modern stage of rustveological research is the formation of digital rustveology research, which is connected with the inclusion of computer technologies in research. Automatic research and corpus-linguistic analysis of the translations of "The Knight in the Panther's Skin" together with the improvement of Russian linguistic research, create a wide opportunity for international and interdisciplinary research. In our case, corpus linguistic research includes the synthetic use of philology, linguistics, literary studies, and information technology, which significantly expands the possibilities of scientific analysis and research.

Chapter II. Information about the author and text of the poem

2.1. For the identity of the author of "The Knight in the Panther's Skin"

Critical study of "The Knight in the Panther's Skin" begins with the "translation" by Vakhtang VI, and the process of both research and popularization of the poem is actively going

on to this day. Despite long-term research, accurate and reliable information about the identity of the author of the poem still does not exist. The primary and most authentic source is the text itself, namely the prologue, in which the author is mentioned twice. Rustaveli is also mentioned in the epilogue, which does not belong to the author, although it is a fact that the interpolators refer to the same "Rustaveli" as the author of the poem.

It is believed that Shota Rustaveli worked at the turn of the 12th and 13th centuries and held the position of "Mechurchletukhutsesi" during the reign of Tamar and Davit. The surname Rustveli (established as a parallel form by Anton I - Rustaveli) refers to the ownership of the city of Rustavi (in another version, the priesthood of the Rustavi senior church hierarchy). Invoking Meschisms and Heretisms, scientists are unsuccessfully trying to determine the specific origin of Rustaveli, since Rustaveli writes in the common Georgian literary language and not in any dialect.

The name of **Shota**, the author of the poem, is mentioned in the inscription and holy book recordings of one of Jerusalem's Monasteries of the Cross (Manuscript preserved in the Leipzig University Library (V-1095). Teimuraz I first mentions this name in the literature, based on information provided by Nikifore Cholokashvili (Irbakhi).

For the purpose of repairing the Cross Monastery, Rustaveli's fresco with inscriptions was also portrayed on the pillar. The ancient portraits of Rustaveli are also depicted on the mural of Kvabishkevi, the so-called "The Knight in the Panther's Skin" in the Zaza's manuscript, and Mamuka Tavakalashvili's list.

2.2 The Poem "The Knight in the Panther's Skin"

The inclusion of cycles of sequels in "The Knight in the Panther's Skin" begins in the XIII-XIV centuries and continues for centuries. The earliest interpolations of the poem belong to Sargis Tmogveli and a certain Meskhe Melekse. Later interpolators were Nanucha (the same Manuchar Tsitsishvili), Metropolitan Ioseb Saakadze, and Gaspar Bagdasarashvili - figures of the 17th century. Giorgi Tumanishvili, the last interpolator of the poem, worked at the turn of the XVIII-XIX centuries. The number of stanzas added in the extensive edition of "The Knight in the Panther's Skin" exceeds 650, although the "Short Edition", - compiled on the basis of "The Knight in the Panther's Skin" the Zaza's manuscript Q-1082 (transcriber-

interpolator Ioseb Saakadze), was published by Vakhtang VI and dates back to 1712, which was the first printed edition, and contains 1587 stanzas.

Chapter III. Translations of "The Knight in the Panther's Skin"

Attempts to translate "The Knight in the Panther's Skin" date back to the nineteenth century and continue to this day. To date, "The Knight in the Panther's Skin" has been translated into more than fifty languages. Some of them are versified, and some are prose works. Among the translations, there are also incomplete translations in the form of fragments. The first Russian translation (first stanza) was done in 1802 and belongs to Yevgeny Bolkhovitinov. In 1845, Ippolite Bartdinski translated 142 stanzas of Rustaveli's poem in the form of white verse. In 1846, the translation of one chapter of the poem was published by Iv. Evlakhov (Evlakhishvili), and in 1885, Evg. Stalinsky published a translation of the prologue in prose as a separate book. For the first time, G. Asatur translated into poetry one of the variants of the folk tale - "Love of Rustaveli". In 1896, in Tbilisi, A. Narimanov published a prose translation of the poem. The first 12 stanzas of the poem were translated by V. Therian. "The Knight in the Panther's Skin" was translated into Russian by S. Shart, V. Derzhavin, P. Antokolski, S. Sklichkov and others. The number of complete Russian translations reaches six (translations by Balmont, Petrenko, Tsagareli, Nutsubidze, Zabolotski, and Khalvashi). Among them, we will discuss the translations of Konstantin Balmont, Shalva Nutsubidze, and Archil Khalvashi.

3.1. Translation by Konstantin Balmont

The first complete poetic translation of "The Knight in the Panther's Skin" into Russian was done by Konstantin Balmont. The translation is based on the Vakhtangi edition. Balmont's translation was initially partially published in Moscow in 1917, and was printed in full form in Paris in 1933 in the printing house founded by Davit Kheladze, and in Tbilisi in 1935 and 1937. In total, Balmont's translation was published 11 times. K. Balmont uses the principle of free translation.

3.2. Translation by Shalva Nutsubidze

In 1937–1939 another complete poetic translation was created by Shalva Nutsubidze. The first version of the translation was approved by Stalin, and, taking into account his notes, it was issued in 1941, in which the only (1416th) stanza translated by Stalin himself was

included. It was published for the second time in 1943 in Berlin. In total, Nutsbidze's translation was published 14 times. Feminine and Masculine rhymes are used in the translation, which, according to the researchers, is characterized by a high degree of equivalence.

3.3 Translation by Archil Khalvashi

At the end of the 20th century and the beginning of the 21st century, another complete poetic Russian translation was created by Archil Khalvashi. The translation was published in 2015 under the editorship of Ramaz Khalvashi. The publication is bilingual and is accompanied by an extensive foreword by the editor. A. Khalvashi used rustvology high and low poetry to translate the entire edition of "The Knight in the Panther's Skin" (2230 stanzas) for the first time.

3.4 Different Translations of "The Knight in the Panther's Skin"

Giorgi Tsagareli, Panteleimon Petrenko, and Nikoloz Zabolotski created complete poetic translations of "The Knight in the Panther's Skin" in the Russian language. In addition to Russian, complete and incomplete translations of "The Knight in the Panther's Skin" were created relatively late in other languages as well. Marie Brosse has the first prose translation of the beginning and first stanzas of the poem, as well as a summary of the remaining stanzas. Iona Meunargia published the Russian translation of the poem's summary twice between 1888 and 1890. The first complete French translation, which is considered lost, belongs to Iona Meunargia as well. In the 1940s of the 19th century, a prose translation of the poem was created in Polish by Kazimierz Lapczynski and published in 1863 in Warsaw. In 1889, a complete poetic German translation by Arthur Laist was published. In 1912, Marjory Wardrop's translation was also published. In 1917, the Hungarian translation of Béla Vicar was published. In 1938, a French prose translation by Marcel Paon and Giorgi Gvazawa was printed in Paris. An Italian prose translation was published in 1945, and a German poetic translation by Hugo Huppert was published in 1955. In 1974, Emmanuel Metafidis first translated the poem into Greek. The Greek translation was published in 2016 by the grandson of the translator, Grigoris Kyriakos.

As for the eastern language translations, they start in the 1930s, with the Chinese translation belonging to Amy Xiao (Siao Sun). In 1943, a Chinese prose translation of the

English translation was published by the writer Li Qi-yi. In 1955, Ipei Fukuro published a Japanese prose translation of the poem, and in 1972 his own poetic translation was published. The first translations of "The Knight in the Panther's Skin" into Hebrew were published in 1937. In 1969, Boris Gaponov's translation was published. In 1965, a complete poetic translation of "The Knight in the Panther's Skin" was published in the Mongolian language. Syrian writer Nizar Khalil translated "The Knight in the Panther's Skin" into Arabic. In 1998, with the support of Jemshid Gyunashvili, Farshid Delshad's Persian translation was published.

Chapter IV. Worldview sources of Shota Rustaveli

Four main sources played an important role in the formation of Rustaveli's worldview: the socio-political reality of 12th century Georgia, Georgian national traditions, Christian morality, and ancient philosophy.

4.1. Philosophical sources of Rustaveli's worldview

The poem is mainly based on Georgian cultural tradition and Christian doctrine, but at the same time, it uses religious-philosophical views and characteristics of Eastern and Western culture. Rustaveli draws heavily on ancient philosophy (Plato, Aristotle, Neoplatonism), biblical teachings (paraphrases of the Holy Scriptures), and Christian theology (Areopagitics, teachings of the Holy Father) in his religious-philosophical sources.

4.1.1. Neoplatonism in "The Knight in the Panther's Skin"

Neoplatonism revealed in Rustaveli's worldview is associated with the name of **Pseudo Dionysius Areopagel**. The poem's plot axis is based on Areopagite philosophical themes of good and evil (kataphatica-apophatica). This is evidenced by several lines in the poem itself:

„ბოროტიმცა რად შეექმნა კეთილისა შემოქმედსა“ (3.113.4).

„თქვეს: "ბოროტსა უმყოფო, კეთილნია შენთვის მზანი" (59.1509.4).

„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ (41.1361.4).

„უმსგავსო საქმე ყოველი, მოკლეა, მით ოხერია“ (44.1090.3).

„ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“ (57.1435.4)...

The clearest example of the relationship between Rustaveli and Areopagel is the following stanza:

„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი დივნოს გააცხადებს,
ღმერთი კარგსა მოავლინებს და ბოროტსა არ დაბადებს,

ავსა წამ-ერთ შეამოკლებს, კარგსა ხან-გრძლად გააკვლადებს,
თავსა მისსა უკეთესსა უზადო-ჰყოფს, არ აზადებს“ (59.1492).

Rustaveli mentions another authority, **Plato**, which is confirmed only once in the context:

„მე სიტყვასა ერთსა გკადრებ, **პლატონისგან** სწავლა-თქმულსა:
სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა“ (32.789.3.4).

In addition to this section, signs of Platonic thinking are revealed in other sections of the poem. The idea of the wholeness of the world, which is one of Plato's main doctrines, is also expressed in Rustaveli's poem, in particular, in the following lines:

„მზე უშენოდ ვერ იქმნების, რათგან შენ ხარ მისი წილი“ (1305.1).
„ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გაჰხდის წამისყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად“ (792.3.4).

Scholars see traces of Plato's influence in the line:

„მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“ (51.1323.4).

The female ruler, who is equal to the man shown in the poem, is one of the main components of Plato's "ideal state". Also, the characterization of the **worker**, **warrior**, and **servant** presented in the poem's prologue is related to Plato's theory of the division of the state into social classes ("Timaeos", "Phedros").

Also important is the issue of the Rustaveli style, which is also related to Plato. Rustaveli shares Plato's reasoning regarding God's providence, however, he also adds that a person should contribute to destiny with his own strength, and victory can only be achieved through this kind of joint struggle, which Rustaveli figuratively and succinctly presents to us in the phrase - "„ბედი ცდაა, გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მო-ცა-გხვდების“ (36.903.4.).

4.1.2. Aristotelianism in "The Knight in the Panther's Skin"

It is true that Rustaveli does not mention Aristotle in the poem, but there is no doubt that the writer thoroughly knows and actively uses his philosophy and ethical views.

The principles of friendship between the characters in "The Knight in the Panther's Skin" - similarity and equality, forms of expressing friendship - mutual respect, desire to be together, mutual help - are related to Aristotle's theory of friendship, which can be found in "Nicomachean Ethics."

As mentioned, Rustaveli's special connection with Aristotle is manifested in Rustaveli's interpretations of one of the fundamental doctrines in the ethical system, "**The Golden Mean**". The characters often act according to this doctrine, based on it they form the principles of action.

According to the research of E. Khintibidze, Rustaveli also relies on Aristotle's ethics in characterizing the term "**Mijnuri**", although he does not strictly follow it. In the prologue of the poem, seven of the ten moral and physical characteristics of Mijnuri (wisdom, abundance, wealth, mind, compromise, "the strength of the strong fighters,", idleness) are related to Aristotle.

Aristotle's philosophy is associated with the Rustvelian expression "**True justice**", which does not imply legal or religious law, but situational, natural law.

Rustaveli is well acquainted with Aristotle's doctrine about the soul, which is revealed in the phrase „**the face of every forms**“ although according to B. Bregvadze, the idea realized in this expression comes from Plato.

In "The Knight in the Panther's Skin" the case for showing Aristotle's metaphysical thinking is the doctrine of **the four primary elements of nature** (water, air, fire, and earth). In the poem, death is understood as the disintegration of the body from these four elements, the liberation and ascension of the soul from them. A similar parallel can be found in the poem to Aristotle's four causes of existence (material, formal, efficient, and final cause). Of these, the poem mentions the material cause („**ნოვთი**“ - **thing**) and the purposeful cause („**ვალთი**“ - **debt**). The phrase "**კაცი ვარგი**" (a **worthy man**) is also believed to come from Aristotle.

4.2. Christian sources of Rustaveli's worldview

Despite the fact that the story of "The Knight in the Panther's Skin" takes place in a Muslim area, traces of the influence of the Christian religion can be clearly observed in the poem. According to Z. Gamsakhurdia, the most important dogma of Christian theology - a unity of three co-eternal Persons is considered in the first stanza of the poem, where "**რომელმან**" (Whom) is God the Father, "**ძალი**" (Power) is God the Son and "**სული**" (Spirit) is the Holy Spirit. There is a similar picture in the next stanza, where "**ღმერთი**" (God) is God the Father, "**სატანის დამთრგუნველი**" (Suppressor of Satan) is God the Son and "**მიჯნურთა სურვილი მომნიჭებელი**" (Grantor of the desires of loved ones) is the Holy Spirit. The Trinity

is distinguished in another stanza - the "დამბადებელი" (Creator) is God the Father, the "ძალი უხილავი შემწევედ ყოვლთა მიწიერთად" (Invisible Power to Help the Earth) is God the Son, and the "საზღვრის დამსაზღვრებელი" (Determiner of Boundary) is the Holy Spirit.

In "The Knight in the Panther's Skin" the divine names come from the biblical-Christian tradition: მზიანი ღამე, უყამო ჟამი, ნათელი, უკვდავი, უცნაური, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი, უხილავი, ძალი, ყოფილი, მყოფი, სახიერი, ღმერთი ცხოველი, ტკბილად მხედი, მაღლით მაღალი, უფალი უფლებათა, სავსება, ყოველთა მოწყალე, მფლობელი გულისთქმათა, შემოქმედი, არსთა მხედი. პოემაში ასევე ბიბლიურია კონცეპტები სამოთხე, ედემი, ალვა; ბისონი, ჯეონი, დილჯა, ევფრატი (სამოთხის მდინარეები); სატანა, ეშმა/ეშმაკი, „უშობელი“ და ა.შ. (Sunny night, Untimely time, Clear, Immortal, Strange, Unspeakable, Unheard of, Invisible, Power, Former, Present, Physical, Animal God, Sweetly riding, High on high, Lord of rights, Perfection, The merciful of all, The owner of hearts, The creator, The rider of beings. In the poem, the concepts of heaven, Edem, and Alva are also biblical; as are Bison, Jeon, Dilja, Euphrates (rivers of heaven); Satan, the devil, "the unborn," etc.).

In the poem, divine and human forces are harmoniously combined. The heroes of Rustaveli understand the significance of divine providence; they understand that everything is done to please God („რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების“ (What God does not want, no work is done (793.1)), but the poem also includes the concept of "fate" ("Fate is a trial, a victory, God wills, meet" (903.4)).

Luke's gospel is based on the phrase „ამად რომე შეცოდება შვიდ გზის თქმულა შესანდობლად“ (246.4) ("Someone will sin against you on the day of the **seven ways** and turn seven ways and say to you: I have repented, forgive him" (Luke 17:4).

Chapter V. The Transfer of Worldview Sources of "The Knight in the Panther's Skin" in Russian Translations

5.1. Neoplatonic Realities of "The Knight in the Panther's Skin" in Russian Translations

Rustaveli mentions only **Dionysius Areopagus** and **Plato** by name in the poem. In the translations of Balmont, Nutsubidze, and Khalvashi, both of them are named directly. (Платон; Dionysus is presented in a graphic way – Balm., Nutsub.: Дивнос, Khalv.: Дионис).

The translators point out that Dionysus revealed, disclosed, and opened (явил; открывает; раскрыт) in the hidden case (Balm.: сокровенъе; Nutsub. : дело скрытого; Khalv.: Сумрак тайны, сокровенной).

Rustvelologists interpret Dionysus Areopagus in another line as well: „սծ Եզրոյն թշուղթըն զօրհան ծրծրոյն, ցօրհան“ (6.177.1). Balmont's translation does not specify the speaker. The translator generally refers to the scriptures in which the faithful words are confirmed ("Есть свидетельство Писанья, что достойно состраданья" (4.171)). Sh. Nutsubidze believes that in the work of Ezros, which is called "Dionysus," the meaning corresponding to the context is verified (Мудрый Эзрос в «Дионосе» сам свидетельствует мне (6.177)), but in the Khalvashi translation, he directly names the wise Dionysus, Ezros (Дионисий мудрый, Эзрос подтверждают мне напрямик (5.270)).

In translating the Areopagite ideas revealed in "The Knight in the Panther's Skin", Balmont turns to interpretation and extensibility. The translator has presented Rustveli's short-spoken lines in several lines with artistic interpretations and in the form of contextual translation. In several cases, Nutsubidze only changes the positions and order of the informational structures, nonetheless, the correspondence is maximally equivalent between the translation and the original. Minimal changes can be observed in the Khalvashi translations, namely, expansion and interpretation. („**Понять нужно**", „**это верно разумею** "). "His life is long!" ("жизнь его прочна и долга!""), "Much cursed" ("полно зла, **вреда**") are also added.

